# საქართველოს რესპუბლიკა

გამოდის 1918 წლიდან ● ფასი 1,5 ლარი

№12 (10015) 2026 წლის 30 იანვარი, პარასკევი


## მაია სანდუ თამაშობს ევრო-კავშირის თამაშს, იგი მთლიანად ევროკავშირის თოჯინაა...




რამაზ საყვარელიძე:

**იმისთვის, რომ კავკასიის კონტროლი შეძლონ, ყველაზე სუსტი წერტილი, რომლის უკან არავინ არ დგას — არის საქართველო, აილეს და ურახუნებენ**

იხ. 5 გვ.



2

საქართველოს პრეზიდენტმა საქართველოს ეროვნული პრემიის კონკურსის გამარჯვებულები დააჯილდოვა

### მეცნიერების მიერ გაკეთებული საქვეყნო საქმის დაფასება

### ბადრი ცირამუა — 75

სიყვარულითა და სითბოთი სავსე პოეტი, პუბლიცისტი, პატრიოტი



7

### „ოჯახის ექიმი სოფლად“:



6

### სიკეთე — ქმედითი თუ მოჩვენებითი?!



## ორი უნივერსიტეტი რეგიონში ერთ წამყვან ცენტრად იქცევა...

7



## შვილი სისხლის სამართლის საქმე და 21 თაღლითი

9





4

## მტრის და მოყვრის გარჩევის დრო დადგა — უკრაინა ილუზიებიდან გამოდის?

## ოპოზიციის ასეთი გამოთაყვანება შემთხვევითი არ არის!..

3

## ტანკერ „მარინერას“ ეკიპაჟისა და მისი ქართველი კაპიტნის ბედი



8

ვებ.გვერდი: WWW.SAK.GE ელ.ფოსტა: SAK@SAK.GE

## მიხეილ ყაველაშვილმა 59 პირი შეიწყალა

**საქართველოს პრეზიდენტმა მიხეილ ყაველაშვილმა ნინოობის დღესასწაულთან დაკავშირებით 59 პირი შეიწყალა.** შეწყალების აქტი შეეხო 57 მსჯავრდებულს, ხოლო 2 პირს მოეხსნა ნასამართლობა.

**„საქართველოს პრეზიდენტის მიერ მისთვის კონსტიტუციით მინიჭებული ექსკლუზიური უფლებამოსილების გამოყენება ეფუძნება ჰუმანიზმის პრინციპს, ასევე სახელმწიფო ინტერესს“,** – აღნიშნულია გავრცელებულ ინფორმაციაში, რომელსაც პრეზიდენტის ადმინისტრაცია ავრცელებს.

## პრეზიდენტი პარლამენტში ყოველწლიური მოხსენებით 17 თებერვალს წარდგება

ამის შესახებ საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარემ **შალვა პაპუაშვილმა** პარლამენტის ბიუროს გუშინდელ სხდომაზე განაცხადა.

**„საქართველოს პარლამენტის რეგლამენტით, საგაზაფხულო სესიის პირველ პლენარულ სხდომაზე, როგორც წესი, არის პრეზიდენტის ყოველწლიური მოხსენება და პარლამენტის თავმჯდომარესთან შეთანხმებით, შეიძლება, ეს თარიღი შეიცვალოს. ჩვენ გვქონდა კონსულტაცია პრეზიდენტთან. მათ შორის იმის გათვალისწინებით, რომ მომავალ კვირას დაგეგმილია საქართველოს პრემიერ-მინისტრის ვიზიტი ქვეყნის გარეთ და მნიშვნელოვანია, მთავრობა, პრემიერ-მინისტრიც წარმოდგენილი იყოს პრეზიდენტის ყოველწლიური მოხსენების დროს, საერთო კონსულტაციით შევთანხმდით, რომ შემდეგ სასესიო კვირას, სამშაბათს, 17 თებერვალს იქნება პრეზიდენტის ყოველწლიური მოხსენება. როგორც იცით, პრეზიდენტის ყოველწლიური მოხსენების დღეს, პლენარულ სხდომაზე სხვა საკითხები არ განიხილება. ასე რომ, 17 თებერვალს გვექნება ეს ერთი უმნიშვნელოვანესი საკითხი“,** – განაცხადა **შალვა პაპუაშვილმა.**



## მეცნიერების მიერ გაკეთებული საქვეყნო საქმის დაფასება

### საქართველოს პრეზიდენტმა მიხეილ ყაველაშვილმა საქართველოს ეროვნული პრემიის კონკურსის გამარჯვებულები დააჯილდოვა

**„უდიდესი პატივისცემით მოგესალმებით თქვენ – ჩვენს სახელოვან მეცნიერებს, ადამიანებს, რომლებსაც უდიდესი ღვაწლი მიგიძღვით ჩვენი ერისა და სამშობლოს წინაშე. მინდა, მადლობა გადაგიხადოთ იმ ღირსეული წვლილისთვის, რომელიც არა მხოლოდ ქართული, არამედ მსოფლიოს სამეცნიერო საქმიანობის გამდიდრებაში შეგაქვთ.**

როგორც მიხეილ ყაველაშვილმა განაცხადა, „ეროვნული პრემიის“ მთავარი იდეა მეცნიერების მიერ გაკეთებული საქვეყნო საქმის დაფასებაა.

**„აუცილებლად უნდა აღვნიშნო, რომ თქვენი წვლილი ფასდაუდებელია ჩვენი ქვეყნისა და ხალხის ინტერესების დაცვასა და განმტკიცებაში, რადგანაც, გარდა უდიდესი სამეცნიერო ღირებულებისა, თქვენი ნაშრომების ინტეგრირება შესაძლებელია საგანმანათლებლო პროცესში, როგორც სასკოლო, ისე საუნივერსიტეტო დონეზე. ეს კი გრძელვადიან პერსპექტივაში, მომავალი თაობებისთვის ხარისხიანი განათლების მიღებისა და ქართული, პატრიოტული სულისკვეთებით აღზრდის მყარ საფუძველს ქმნის. ამ პროცესში ძალიან მნიშვნელოვანია სახელმწიფოს ჩართულობა და ის ხელშეწყობა, რომელიც ჩვენი მეცნიერებისთვის კიდევ უფრო მეტ შესაძლებლობას აჩენს. „ეროვნული პრემიის“ იდეაც სწორედ იმაში მდგომარეობას, რომ ჩვენი შესაძლებლობის ფარგლებში, დავაფასოთ ის საქვეყნო საქმე, რომელსაც თქვენ აკეთებთ.... გილოცავთ პრემიის მფლობელებს ამ გამარჯვებას. თქვენ ხართ მაგალითი ჩვენი ახალგაზრდა თაობისთვის. დარწმუნებული ვარ, კიდევ ბევრი ღირსეული ქართველი აღიზრდება თქვენს ღვაწლზე“,** – განაცხადა მიხეილ ყაველაშვილმა.

საქართველოს ეროვნული პრემიის კომისიის გადაწყვეტილების საფუძველზე, პრეზიდენტის განკარგულებით, საქართველოს ეროვნული პრემია მიენიჭათ:

**ლევან ჯაფარიძეს** – სამეცნიერო ნაშრომთა ციკლისათვის: „მიწისქვეშა ნაგებობების მექანიკა“, „მიწისქვეშა ნაგებობათა სამაგრის გაანგარიშება ზღვრულ მდგომარეობებზე“, „მიწისქვეშა ნაგებობების ზღვრული საექსპლუატაციო მდგომარეობები“; ავტორთა ჯგუფს: **როინ მეტრეველს, ვახტანგ გურულს, ლელა მიქიაშვილს, ვალერიანე ვაშაკიძეს, გიორგი ჯეიშვილს, ოთარ ჯანელიძეს, ჯონი კვიციანსა** და **ალექსანდრე დაუშვილს** – სამეცნიერო მონოგრაფიული ნაშრომისათვის „კავკასიის ისტორია“ (ორტომეული).

მიხეილ ყაველაშვილმა საქართველოს ეროვნული პრემიის გამარჯვებულებს საქართველოს ეროვნული პრემიის ლაურეატის დიპლომები, სამკერდე ნიშნები და შესაბამისი ფულადი გასაცემელი გადასცა. კონკურსი 2025 წლის 12 დეკემბერს გამოცხადდა.

პრეზიდენტის სასახლეში გამართულ ცერემონიას საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის მინისტრი **გივი მიქანაძე,** საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის მინისტრის მოადგილე, ეროვნული პრემიის კომისიის თავმჯდომარე **ზვიად გაბისონია** და საქართველოს პარლამენტის განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომიტეტის თავმჯდომარე **მარიამ ლაშხი** და განათლების, მეცნიერებისა და კომიტეტის თავმჯდომარის პირველი მოადგილე **გიორგი ჩაკვეტაძე** ესწრებოდნენ.





## სამოცი წელი დედაქალაქის სამსახურში და კომპანიის საპატიო თანამშრომლები

### თბილისის მეტროს 60 წლის იუბილესთან დაკავშირებით, „თბილისის სატრანსპორტო კომპანიის“ 17 თანამშრომელს საპატიო თანამშრომლის წოდება მიენიჭა

აღნიშნულ თანამშრომლებს თბილისის მერმა **კახა კალაძემ** მერიაში უმასპინძლა და განსაკუთრებული მადლობა დედაქალაქის მთავრობის სხდომაზე გადაუხადა.

**„წელს თბილისის მეტროს გახსნიდან 60 წელი შეუსრულდა, რომელთან დაკავშირებითაც ხვალ საზეიმო ღონისძიება გაიმართება. არ დავიწყებ საუბარს იმაზე, თუ რა მძიმე მემკვიდრეობა დაგვხვდა ამ მიმართულებით, რა მნიშვნელოვანი ღონისძიებები და პროექტები განვახორციელეთ ბოლო წლებში და რა გამოწვევებს ვეჯახებით დღემდე, როცა საქმე სწორედ მეტროსადგურების რეაბილიტაციას და გამართულ მუშაობას ეხება. თბილისის მეტრო 1966 წლის 10 იანვარს საზეიმო ვითარებაში გაიხსნა. მეტრო დღის განმავლობაში უამრავ ადამიანს ემსახურება. მას დღეში, დაახლოებით, 500 ათასი მოქალაქე გადაჰყავს“,** – განაცხადა **კახა კალაძემ.**

მისივე თქმით, თბილისის მეტროს ფუნქციონირებაში და შეუფერხებელ მუშაობაში სულ 2 800-მდე თანამშრომელია ჩართული.

**„მინდა, მათ განსაკუთრებული მადლობა გადავუხადო. ასევე, მეტროს 60 წლის იუბილესთან დაკავშირებით, გვინდა, საპატიო თანამშრომლის წოდება მივანიჭოთ „თბილისის სატრანსპორტო კომპანიის“ 17 თანამშრომელს, რომელთაც სპეციალური სიგელები გადაეცემათ. მინდა, უდიდესი მადლობა გადაგიხადოთ გაწეული შრომისთვის, პროფესიონალიზმისთვის, იმისთვის, რომ დღემდე სიყვარულითა და პატიოსნებით ემსახურებით ჩვენს ულამაზეს დედაქალაქს და მის მცხოვრებლებს“,** – აღნიშნა თბილისის მერმა.

**P. S.** **დღეს საზეიმო ღონისძიებაზე საქართველოს პრეზიდენტი ღირსების ორდენით დააჯილდოებს თბილისის მეტროს ცხრა ღვაწლმოსილ თანამშრომელს, რომლებმაც განსაკუთრებული წვლილი შეიტანეს მეტროს საქმიანობაში.**

## დედაქალაქის ბიუჯეტი ორმილიარდნახევარს აჭარბებს

**თბილისის 2026 წლის ბიუჯეტის მოცულობა იზრდება და საბოლოო ჯამში 2 506 978 300 ლარს შეადგენს,** – განაცხადა მუნიციპალიტეტის მთავრობის სხდომაზე თბილისის მერმა **კახა კალაძემ.**

მისივე თქმით, შესაბამისი ცვლილება „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2026 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" საკრებულოს 2025 წლის 23 დეკემბრის დადგენილებაში შედის, რომლის თანახმადაც, დედაქალაქის დამტკიცებულ ბიუჯეტს კიდევ 296 420 100 ლარი ემატება.

**„მიმდინარე თვეს უკვე განხორციელდა ცვლილება თბილისის საკრებულოს შესაბამის დადგენილებაში და დედაქალაქის 2026 წლის დამტკიცებულ ბიუჯეტს დაემატა გასული წლის ნაშთი – 17 მლნ ლარი. ამჯერად კიდევ ერთი ცვლილება შედის „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2026 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ საკრებულოს 2025 წლის 23 დეკემბრის დადგენილებაში. კერძოდ, 2026 წლის პირველი იანვრისთვის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ანგარიშებზე არსებული გარდამავალი ნაშთისა და 2025 წელს შემოსულობების გადაჭარბებით მიღებული შემოსავლების – 273 860 100 ლარის გამოყენებისა და მიმდინარე წელს მოსალოდნელი პროგნოზების გათვალისწინებით. აღნიშნული ცვლილების თანახმად, გრანტების ნაწილში, სხვა კაპიტალური გრანტები სახელმწიფო ბიუჯეტიდან იზრდება 22 560 000 ლარით. შესაბამისად, წარმოდგენილი პროექტით, ბიუჯეტის მოცულობა იზრდება 296 420 100 ლარით და სულ შეადგენს 2 506 978 300 ლარს“,** – განაცხადა **კახა კალაძემ.**

აღნიშნული ცვლილების გათვალისწინებით, ასიგნებები გადანაწილდა შემდეგ პრიორიტეტებზე: სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის მშენებლობა-აღდგენა – 68 292 800 ლარი; ინფრასტრუქტურული ობიექტების მშენებლობა, ექსპლუატაცია და ავარიული შენობების გამაგრება-ჩანაცვლება – 123 719 200 ლარი; ეკოლოგიური მდგომარეობის შენარჩუნება და გაუმჯობესება – 15 742 500 ლარი; ეკონომიკის განვითარების ხელშეწყობა – 349 000 ლარი; ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების განვითარება – 6 411 300 ლარი; ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა – 7 847 700 ლარი; განათლება – 51 209 800 ლარი; კულტურა, სპორტი და ახალგაზრდობა – 18 182 400 ლარი; საზოგადოებრივი წესრიგი და უსაფრთხოება – 3 361 500 ლარი; თბილისის წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოები – 1 303 900 ლარი.

# იქნებ გამოჩნდეს სინათლე გვირაბის ბოლოს?!

**...ნავთობით მდიდარ ვენესუელაში წარმატებამ პრეზიდენტ ტრამპს ახალი ტერიტორიების „დაცვის“ სურვილი გაუჩინა. ამჯერად მიზანში გრენლანდია ამოიღო. ახლა დიდი მსჯელობაა გამართული ამ საკითხის გარშემო. რაც მთავარია, ტრამპმა უკვე გაახმოვანა გრენლანდიის მისაკუთრების გეგმა: ამერიკას სჭირდება ეს კუნძული. თუ მას ჩვენ ვერ მივიღებთ, ხვალ რუსეთი ან ჩინეთი გააკეთებს ამასო...**

**საქართველოში ბევრი მედროვე მიესალმა ვენესუელაში მომხდარს და მოუთმენლად ელიან, როდის განახორციელებს ტრამპი მსგავს ოპერაციას ივანიშვილის წინააღმდეგ!!! ეს კარგად გამოჩნდა როგორც სოცქსელებში, ისე საჯარო სივრცეში. მიხრწნილმა რომან გოცირიძემ ვითომ იუმორით განაცხადა: „მადურო გასკვანჩეს. წარმომიდგენია, რა დღეშია ეს საწყალი აქაური მადურო“. ქარიყლაპია შარლატანმა შალვა ნათელაშვილმა კი პირდაპირ თხოვნით მიმართა ამერიკის პრეზიდენტს, დაავალოს სპეცდანიშნულების სამსახურს, ჩაატაროს ანალოგიური ოპერაცია საქართველოში ივანიშვილის დასაპატიმრებლად და ჰააგის ტრიბუნალისთვის გადასაცემად.**

# ოპოზიციის ასეთი გამოთაყვანება შემთხვევითი არ არის!..




## ნიკა გვარამია:

## ირანის გათავისუფლების პირობებში კასპიის გასაღები ჩვენთან გადმოდის. „ქოცები“ უნდა მოვიშოროთ, დავსხდეთ გეოპოლიტიკურ მდინარესთან და ვითევზაოთ უზარმაზარ თევზზე, ჩვენი დრო მოვიდა, იბერია გაბრწყინდება



**საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრომ იმედი გამოთქვა, რომ შემდგომი პროცესები ვენესუელელი ხალხის საუკეთესო ინტერესების შესაბამისად განვითარდება. იმის გათვალისწინებით, რომ ვენესუელის ხელისუფლებამ საქართველოს ოკუპირებული რეგიონები – აფხაზეთი და სამხრეთ ოსეთი დამოუკიდებელ სახელმწიფოებად აღიარა, რაც საერთაშორისო სამართლის უხეში დარღვევაა, განცხადებაში გამოთქმულია იმედი, რომ ბოლო დროს განვითარებული მოვლენები ამ უკანონო გადაწყვეტილების გაუქმებას გამოიწვევს საქართველოს ეროვნული ინტერესებისა და საერთაშორისო სამართლის პრინციპების შესაბამისად.**

ვენესუელას ირანი მოჰყვა, სადაც ანტისახელისუფლებო გამოსვლებმა მთელი ქვეყანა მოიცვა. 28 დეკემბერს ირანის მთავარი ბაზრის დახურვის შემდეგ დაიწყო მშვიდობიანი საპროტესტო გამოსვლები, ძირითადად სოციალური საბაბით, მალევე ზვავივით აგორდა, შეიძინა პოლიტიკური ელფერი და ანტისამთავრობო მოძრაობაში გადაიზარდა. უმაღლესმა სასულიერო ლიდერმა ჰამენეიმ სამართალდამცავებს სიმკაცრის გამოჩენისკენ მოუწოდა არეულობის მონაწილეთა მიმართ. ევროპა ირანელი ხალხის უფლებების სადარაჯოზე დადგა, ამერიკამ ხმამაღლა განაცხადა, ირანელი ხალხის დახმარება გზაშიაო. თუმცა, დღეისთვის ვითარება შეიცვალა, პრეზიდენტმა ტრამპმა მართებულად არ ჩათვალა საჭიროდ სამხედრო ჩარევა. თანდათან აჯანყებაც თავქვე დაეშვა და ჩაშუშდა, მაგრამ არა უსისხლოდ – მსხვერპლი დიდია.

ვენესუელისა და ირანის პრობლემა არ უნდა იყოს ლოკალური მოვლენა რომელიმე ერთ ქვეყანაში. იგი უკავშირდება მსოფლიო გლობალურ პრობლემას, გადანაწილების პროცესს. მსოფლიო გადანაწილებაზე საუბრისას ჩვენთვის კარგად ცნობილი კრემლის პროპაგანდისტის ალექსანდრ დუგინის თქმით, მსოფლიო სამპოლუსიანი გახდა – აშშ, რუსეთი, ჩინეთი. დანარჩენი მსოფლიო კი მათი გავლენის ქვეშ გადანაწილდება. „არცერთი ტერიტორია არ დარჩება საყვარელ, წყნარ შვეიცარიად. ამ ახალ მოდელში სუვერენული ვერავინ იქნება, ვერც სომხეთი, ვერც საქართველო, ვერც აზერბაიჯანი, ვერც შუა აზია...“

ასე იქნება თუ არა, ამას დრო გვიჩვენებს, მაგრამ ერთი რამ კი ცხადია: ქვეყნების ინტერესებს ეკონომიკა, ფინანსები, დიდი ფული განსაზღვრავს და არა პოლიტიკა. ამას ტრამპის ღია განცხადებებიც ადასტურებს.

დონალდ ტრამპმა გასულ კვირას დაასახელა ახალშექმნილი მშვიდობის საბჭოს შემადგენლობა. საბჭო წარმოადგენს ინიციატივას, რომელიც მიზნად გლობალური კონფლიქტების მოგვარებას ისახავს, მათ შორის დაარეგულირებს ისრაელ-ღაზას კონფლიქტს და ზედამხედველობას გაუწევს დროებით მშვიდობას, ასევე წარმართავს სექტორის რეკონსტრუქციის შემდგომ ეტაპს. მშვიდობის საბჭოს უვადო ხელმძღვანელი თავად ტრამპი იქნება. საბჭოს წევრებმა უნდა გადაიხადონ არანაკლებ ერთი მილიარდი დოლარისა. საბჭოს წევრობაზე მოწვევა უკვე გაეგზავნა ქვეყნებს, მათ შორის რუსეთსა და ბელარუსს, ასევე აზერბაიჯანსა და სომხეთს. საქართველოს ამ დრომდე მოწვევა არ მიუღია და ოპოზიციის წარმომადგენლებისა და ზოგიერთი ექსპერტის აზრით, არც მიიღებს. ოპოზიციონერი **დავით დარჩიაშვილის** თქმით, საქართველო ტრამპისთვის მაინცდამაინც დიდ ღირებულებას არ წარმოადგენს, მას ფოკუსი სხვა კუთხით აქვს გასწორებული...

ამ სხვა ფოკუსიდან ერთი 8 იანვარს გამოიკვეთა, როცა სომხეთის ტერიტორიაზე მოინიშნა „ტრამპის სახელობის მარშრუტი“, რომელიც ტრანსკასპიური სავაჭრო ურთიერთობის განვითარებას ისახავს მიზნად. „ტრამპის მარშრუტის“ მშენებლობის გრძელვადიან ექსკლუზიურ უფლებას კი სომხეთი აშშ-ის მიერ კონტროლირებად კომპანიას გადასცემს 49 წლის ვადით, რომელიც შეიძლება დამატებით კიდევ 50 წლით გაგრძელდეს. კომპანიაში აშშ 74%-ს მიიღებს, სომხეთი კი – 26%-ს. ცნობილი გახდა, რომ თებერვლის პირველ ნახევარში აშშ-ს ვიცე-პრეზიდენტი ჯეი დი ვენსი ეწვევა ოფიციალური ვიზიტით სომხეთსა და აზერბაიჯანს. ეტყობა, ტრამპს მართლაც სერიოზული ზრახვები აქვს ამიერკავკასიაში.

### რა ელის საქართველოს?

**ყოველივე ამაზე თავისი შეხედულება მოგვაწოდა ციხიდან აქამდე უცნობმა თეორეტიკოსმა და პოლიტოლოგმა ნიკა გვარამიამ: „ირანის გათავისუფლების პირობებში კასპიის გასაღები ჩვენთან გადმოდის. „ქოცები“ უნდა მოვიშოროთ, დავსხდეთ გეოპოლიტიკურ მდინარესთან და ვითევზაოთ უზარმაზარ თევზზე, ჩვენი დრო მოვიდა, იბერია გაბრწყინდება.“**

ეს უზარმაზარი თევზი გამჭრიახ ნიკას ანაკლიის პორტში ეგულება, რომელიც მისი თქმით, ამჟამად შავი ზღვის აღმოსავლეთ სანაპიროს ერთადერთი მსხვილი პორტის – ნოვოროსიისკის ალტერნატივა იქნება. ამით კიდევ უფრო აიწევს ჩვენი რეგიონის და განსაკუთრებით, საქართველოს მნიშვნელობა. მხოლოდ ჩვენ გვაქვსო შავი ზღვის სანაპიროზე ევროკავშირის წევრობის და სტაბილური მაღალი ხარისხის დემოკრატიის შანსი. ეს ნიშნავს 2040 წლისთვის 40 ათას დოლარს ერთ სულ მოსახლეზე... ოღონდ, რა თქმა უნდა, ეს ამბავი ქოცებთან ერთად არ გამოვა, ქოცები ჩვენ გვაკარგვინებენ გეოპოლიტიკურ მნიშვნელობას. მათ ხელში საქართველოს ეკარგება გეოგრაფიული მნიშვნელობაც კი.

**ასეთი „სკრუპულოზური“ ეკონომიკური გათვლებითა და „კონცეპტებით“ ცდილობს ეს ფუფლო კაცი, დაიმკვიდროს მოაზროვნის, მოფიქრალის სახელი. მაგრამ მისი გადარეცხილი სახე და საეჭვო მოსაზრებები უმალ გაფიქრებინებს, რომ ნიკა გვარამია ქვეყანას ვერ წაიყვანს სასიკეთო მიმართულებით, მის მიერ შერჩეული გზა უბრალოდ არსაით მიდის.**

სხვათა შორის, ნიკას „ჭანჭიკმა“ პარტია „თავისუფლების მოედნის“ ლიდერმა ლევან ცუცქირიძემაც წარუდგინა საზოგადოებას გეგმა, რომელიც მოიცავს ხედვას ავტორიტარული რეჟიმის წინააღმდეგ ბრძოლის გაგრძელების გზებისა და ხელისუფლების მშვიდობიანი ცვლილებების მექანიზმებზე...

ოპოზიციის ასეთი ერთიანად გამოთაყვანება შემთხვევითი მოვლენა არ არის. ეს იმის შედეგია, რომ ოპოზიცია აშკარად ჩამოვარდა იშკილებიდან, მის ბრძოლას ძალა გამოეცალა, ხორცი და ქონი შემოადნა, ერთადერთი, რის ხარჯზეც სულდგმულობს, საზღვარგარეთული ჟანგბადია, რომელიც დროდადრო მიეწოდება ჩასასუნთქად, სხვა მხრივ ოპოზიცია ჩამოსატყავებლად ჩამოკიდებულ თხას მოგაგონებთ, რომელიც უკანასკნელი კონვულსიებით ხანგამოშვებით იქნევს ფეხებს. ეს კარგად გამოჩნდა 4 ოქტომბრის “რევოლუციის“ დროს. ამ დღემ ნათლად გამოაჩინა ოპოზიციის უსუსურობა, არაფრისშემძლეობა.

**„რევოლუციას“ ვერ უშველა პაატა ბურჭულაძისა და მურთაზ ზოდელავას ხმის ჩახლეჩამდე ლიდეროგამ, გაჩო ახალიას სამხედრო გენიამ, პრეზიდენტის სასახლეზე მიტანილმა იერიშმა. რაც მთავარია, 4 ოქტომბრის რევოლუციურმა, უგვანმა ნახტომმა საბოლოოდ ჩააქრო ხალხში მსგავსი რამის გამეორების სურვილიც კი.**

* * *

**ახალი წლის სიურპრიზებს შორის აღმოჩნდა ყოფილი ორგზის პრემიერ-მინისტრის ირაკლი ღარიბაშვილის დაპატიმრება და 5 წლით თავისუფლების აღკვეთა. მას ჩამოართვეს 6, 5 მილიონი დოლარი, 1 მილიონი ლარი ჯარიმის სახით და 2 ავტომანქანა.**

დაუტოვეს ღვინის ქარხანა, ამხელა „კონტრიბუციამ“ მაინც არ დაადასტურა ღარიბაშვილის კორუფციონერობა. დიახ, მან დაარღვია კანონი თანამდებობის პირის მიერ კერძო წარმოების აკრძალვის შესახებ და საკმაოდ დაისაჯა კიდეც, მაგრამ მას არაფერი მოუპარავს სახელმწიფოსთვის!

* * *

**ქართული პოლიტიკა უკანასკნელ დღეებში უსაშველოდ გამდიდრდა – ჟურნალისტი ეკა მიშველაძე პოლიტიკაში მიდის.**

მისი თქმით, ბრძოლის ახალი ეტაპია საჭირო და სურს ბრძოლის სხვა, „ცხელ ფაზაში“ გადავიდეს. ეს კი პოლიტიკური ბრძოლაა: „მინდა, რომ გარკვეული წვლილი შევიტანო ამაში და მგონია, რომ შევძლებ“. შეძლებს, როგორ არ შეძლებს. თავის გადაცემებში ბუზს სპილოდ აქცევდა და ახალ „ცხელ ფაზაში“ პოლიტიკურ ბრძოლას ვერ შეძლებს? მით უფრო, რომ მეუღლე ბუკა პეტრიაშვილი სწორედ „ცხელ ფაზაშია“ გამოწრთობილი და ნელ-თბილად ჩაშუშებული.

* * *

**ნათლისღებას საქართველოს პრეზიდენტმა მიხეილ ყაველაშვილმა 159 პატიმარი შეიწყალა. მათ შორის არ იყვნენ შეწყალების კატეგორიული მოწინააღმდეგე და იმავდროულად შეწყალების სულმოუთქმელად მომლოდინე ჩვენი გმირი „სინდისის პატიმრები“.**

ციხის კარებთან შეკრებილი მათი დედები და მხარდამჭერები მორიგი რისხვით შეხვდნენ მათთვის არალეგიტიმური ხელისუფლების ამ ჰუმანურ აქტს და ამას მომლოდინე ხალხის „არაადამიანური წამება“ უწოდეს. ერთ-ერთი პატიმრის დედამ, წყევლა-კრულვით ცნობილმა ქალბატონმა მარიზიმ მთელი საქოცეთის მიმართ მორიგი წყევლა აღავლინა, რამაც სოციალურ ქსელებში მრავალთა აღშფოთება გამოიწვია. იყვნენ თანამგრძნობნიც, რაც ჩვენს ურთიერთდაპირისპირებულ საზოგადოებაში სულაც არ არის გასაკვირი. გასაკვირი და მოულოდნელი იყო ნინია კაკაბაძის, თითქოსდა ოჯახიშვილის, გამოცდილი და განათლებული ჟურნალისტის შეფასება: მარიზის სიტყვები ოდესმე აუცილებლად შევა სახელმძღვანელოებში და, როგორც ჩვენ ვსწავლობდით საქართველოს ისტორიას, ისე დაისწავლიან მომავალი თაობები მის სიტყვებსო.

როგორც იტყვიან, აქ ყოველგვარი კომენტარი ზედმეტია!

**ამას წინათ გოდების ეპისკოპოსმა იაკობმა ქადაგებისას მრევლს ერთმანეთის მოსმენისკენ მოუწოდა. ამ კონტექსტში დამაიმედებლად მეჩვენება ჩვენი პრემიერის ირაკლი კობახიძის ინიციატივა დავიწყებული დებატების აღდგენის თაობაზე. მისი განმარტებით დებატების კულტურის ხელახლა დამკვიდრებას გარდამტეხი როლის შესრულება შეუძლია პოლარიზაციის დასრულებაში, მას შეუძლია გაარღვიოს სიძულვილის ჩაკეტილი წრე და ყინულმჭრელი გახდეს ამ თვალსაზრისით. ვფიქრობ, რომ ეს პროცესი ძალიან მალე უნდა დაიწყოს. არაუგვიანეს 2 კვირისა, უნდა შედგეს პირველი დებატები სხვადასხვა მხარეს შორის.**

**ღმერთმა ქნას! იქნებ მაშინ მაინც გამოჩნდეს სინათლე გვირაბის ბოლოს!**



**ალეკო ასლანიშვილი**

# თვალის ახელა...

**თითქმის ოთხწლიანი დიპლომატიური ვაკუუმის შემდეგ, უკრაინას საქართველოში კვლავ ეყოლება საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი. პრეზიდენტ ვოლოდიმირ ზელენსკის მიერ 26 იანვარს ხელმოწერილი განკარგულება, რომლითაც ამ პოსტზე გამოცდილი დიპლომატი მიხაილო ბროდოვიჩი დაინიშნა, მმართველ გუნდსა და ანალიტიკურ წრეებში აღქმულია, როგორც ურთიერთობების გადახედვისა და „გადატვირთვის“ მცდელობა.**

**ქართული მხარის არგუმენტაციით, ეს ნაბიჯი პირდაპირი დასტურია იმისა, რომ კიევში პოზიციები შეიცვალა.** მმართველი გუნდის წარმომადგენლები, მათ შორის **გია ვოლსკი** და **ირაკლი ქადაგიშვილი,** მიიჩნევენ, რომ **უკრაინის ადმინისტრაციამ გააანალიზა ე.წ. „მეორე ფრონტის“ გახსნის მოლოდინის ილუზორულობა და დააფასა საქართველოს მიერ საერთაშორისო ასპარეზზე გაწეული პოლიტიკური მხარდაჭერა.**

# მტრის და მოყვრის გარჩევის დრო დადგა — უკრაინა ილუზიებიდან გამოდის?

## საქართველო-უკრაინის ურთიერთობების „გადატვირთვა“: ახალი ელჩი და იმედები დიპლომატიური კრიზისის დასრულებაზე



მიხაილო ბროდოვიჩი

### რატომ შეიცვალა ზელენსკის მიდგომა?

**ანალიტიკოსთა ნაწილი მიიჩნევს, რომ ზელენსკის გადაწყვეტილება რამდენიმე ფაქტორმა განაპირობა. პირველ რიგში, ეს უკავშირდება საქართველოს ხელისუფლების გოლო დროინდელ ნაბიჯებს საერთაშორისო სამართლებრივ ჭრილში.**

2025 წლის 16 დეკემბერს საგარეო საქმეთა მინისტრმა **მაკა ბოჭორიშვილმა** ჰააგაში ხელი მოაწერა უკრაინისთვის საჩივრების საერთაშორისო კომისიის დაფუძნების დოკუმენტს, რაც თბილისის მხრიდან კიევის სამართლებრივი ბრძოლის მკაფიო მხარდაჭერაა. გარდა ამისა, საქართველო სტაბილურად უჭერდა მხარს უკრაინას ყველა საერთაშორისო პლატფორმაზე:

**გაეროს რეზოლუციები**: საქართველო იყო ერთ-ერთი პირველი, ვინც მხარი დაუჭირა და თანაავტორი გახდა რეზოლუციებისა, რომლებიც გმობდნენ რუსეთის აგრესიას.

**ჰააგის სასამართლო**: საქართველო შეუერთდა 38 სხვა ქვეყნის მიმართვას სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოსადმი (ICC) უკრაინაში ჩადენილი ომის დანაშაულების გამოსაძიებლად.

**ევროსაბჭო და ეუთო:** თბილისი მუდმივად აფიქსირებს კიევის სუვერენიტეტისა და ტერიტორიული მთლიანობის მხარდაჭერას.

მიუხედავად იმისა, რომ „ქართული ოცნება“ უარს ამბობდა ორმხრივი ეკონომიკური სანქციების დაწესებაზე (არგუმენტით, რომ ეს ქვეყნის ეროვნულ ინტერესებსა და ეკონომიკას დააზიანებდა), ჰუმანიტარული და პოლიტიკური დახმარება არ შეწყვეტილა. როგორც ჩანს, სწორედ ამ პრინციპულმა პოზიციამ და საერთაშორისო იზოლაციის თავიდან არიდებამ აიძულა უკრაინული მხარე, დიპლომატიური არხები სრულფასოვნად აღედგინა.

### ხელისუფლების წარმომადგენლების შეფასებები

**საქართველოს პარლამენტში უკრაინის გადაწყვეტილებას ფრთხილი ოპტიმიზმით ხვდებიან. დეპუტატები იმედოვნებენ, რომ ახალი ელჩი იქნება არა „პროვოკაციების არენა“, არამედ ხიდი ურთიერთობების გამოსასწორებლად.**

**საქართველოს ხელისუფლება კვლავ აცხადებს, რომ მათი პოზიცია ურყევია: მხარდაჭერა უკრაინელ ხალხს, ჰუმანიტარული დახმარება და პოლიტიკური სოლიდარული ნაბიჯები, თუმცა — ქვეყნის ომში ჩართვისა და ეკონომიკური თვითდაზიანების გარეშე. თუ ახალი ელჩი ამ მოცემულობას მიიღებს, ურთიერთობების სრული აღდგენა სავსებით რეალურია.**





**ძალიან მძიმე იყო პერიოდი, როდესაც ზელენსკი გამოჩნდა რადიკალების მიერ ორგანიზებულ მიტინგებზე, როდესაც ხალხს მთავრობასთან დაპირისპირებაზე მოუწოდა, როდესაც ელჩი იმიტომ გაიწვია, რომ საქართველო ომში არ ჩაერთო.**

**ირაკლი ქადაგიშვილი,** პარლამენტის თვითმმართველობის კომიტეტის თავმჯდომარე ამბობს:

**„რა თქმა უნდა, საქართველოს შეურაცხყოფა იყო, როდესაც მან (ზელენსკიმ) ელჩი გაიწვია. ყველა ელჩმა დატოვა კიევი, საქართველოს საელჩოს და არც ელჩს არ დაუტოვებია, არც დროშა ჩამოგვიხსნია. ეს იყო ჩვენი პოზიცია, მაგრამ ბუნებრივია, ჩვენი პოზიცია ისიც იყო, რომ ომს რუსეთს ვერ დავუწყებდით. ამიტომ ეს ხედვა, რაც ჰქონდათ, მას და ბევრს, რომ საქართველო მეორე ფრონტი უნდა გამხდარიყო, დღეს ნათელია, რომ ეს რთულად შესასრულებელი კი არა, თითქმის შეუძლებელიც არის. ხედავთ, რომ გარკვეული მოლაპარაკებების პროცესი მიმდინარეობს ამ ომის ასე თუ ისე დასრულებასთან დაკავშირებით. შედეგი, როგორც ჩანს, ახლო მომავალში არ იქნება, მაგრამ თუ უკრაინის მხარე ხედავს, რომ საქართველოსთან ურთიერთობაში მან ახალი ნაბიჯი უნდა გადადგას, ჩვენ ამას მხოლოდ და მხოლოდ მივესალმებით“,** — განაცხადა მან.

**გია ვოლსკი,** პარლამენტის პირველი ვიცე-სპიკერი, უფრო კრიტიკულად აფასებს წარსულს, თუმცა მომავლის იმედს იტოვებს:

**„ძალიან ძნელია პროგნოზის გაკეთება ამ თემასთან დაკავშირებით — რა ამოცანები განუსაზღვრა ელჩს, რა დავალებები მისცა. ძალიან მძიმე იყო პერიოდი, როდესაც ზელენსკი გამოჩნდა რადიკალების მიერ ორგანიზებულ მიტინგებზე, როდესაც ხალხს მთავრობასთან დაპირისპირებაზე მოუწოდა, როდესაც ელჩი იმიტომ გაიწვია, რომ საქართველო ომში არ ჩაერთო. უკრაინულ ადმინისტრაციასთან ურთიერთობის ძალიან მძიმე მემკვიდრეობაა დღემდე. ეს მათივე მიზეზითაა შექმნილი... ახლა დავალება, რაც აქვს მიცემული ელჩს, ჩვენ იმედი გვაქვს, რომ არის ორიენტირებული იმაზე, რომ ადრე თუ გვიან, ეს ურთიერთობები აღდგება და ღირსეულად გაუსწორდება იმ ჩვენს ძალისხმევას, რომელიც დავხარჯეთ პოლიტიკურ სივრცეში. სხვადასხვა ფორმატში, ჩვენ მიერ უკრაინის პოლიტიკური მხარდაჭერა არის გამორჩეული და ეს უნდა დაფასდეს“,** — განაცხადა **ვოლსკიმ.**

### რა მოლოდინები უნდა გვქონდეს?

**მიხაილო ბროდოვიჩის დანიშვნა, რომელიც 2015-2022 წლებში სლოვენიაში მოღვაწეობდა და სისტემური დიპლომატია, მიანიშნებს იმაზე, რომ უკრაინას პროფესიონალური დიალოგის აღდგენა სურს.**

რეალური მიზეზი, თუ რატომ მოხდა ეს ახლა, კომპლექსურია. ერთი მხრივ, საქართველოს ხელისუფლების მიერ უკრაინის მხარდაჭერის ზრდა (განსაკუთრებით სამართლებრივ ჩარჩოებში) შეუმჩნეველი ვერ დარჩებოდა. მეორე მხრივ, გეოპოლიტიკური რეალობა იცვლება — დასავლეთში სულ უფრო ხშირად საუბრობენ მოლაპარაკებების აუცილებლობაზე, რამაც კიევს შესაძლოა, უბიძგა, რეგიონულ პარტნიორებთან, მათ შორის თბილისთან, კონფრონტაციული ტონი შეარბილოს.

საქართველოს ხელისუფლება კვლავ აცხადებს, რომ მათი პოზიცია ურყევია: მხარდაჭერა უკრაინელ ხალხს, ჰუმანიტარული დახმარება და პოლიტიკური სოლიდარული ნაბიჯები, თუმცა — ქვეყნის ომში ჩართვისა და ეკონომიკური თვითდაზიანების გარეშე. თუ ახალი ელჩი ამ მოცემულობას მიიღებს, ურთიერთობების სრული აღდგენა სავსებით რეალურია.

საერთაშორისო ურთიერთობების ანალიტიკოსი **თამარ კიკნაძე** for.ge-თან ამბობს, რომ კიევი და თავად ვოლოდიმირ ზელენსკი ყველამ იცის, რომ დამოუკიდებლად არ მოქმედებს და ის არის პროქსი სახელმწიფო, რომლის ყველა გადაწყვეტილების უკან დასავლეთი დგას. შესაბამისად, კიკნაძე არ გამორიცხავს, რომ ზელენსკიმ ეს გადაწყვეტილება მათთან შეთანხმებით, რიგი მიზეზების გამო მიიღო.

**„ვიცით, რომ ზელენსკი თავის პოლიტიკას დამოუკიდებლად ვერ განსაზღვრავს და ზუსტად იმის თქმა, რატომ მიიღო მან ეს გადაწყვეტილება, რთულია, თუმცა რამდენიმე მიზეზი რომ ვივარაუდოთ, ეს შესაძლებელია. ვფიქრობ, ალბათ, საქართველოსთან დაკავშირებით მან რაღაცა მითითებები მიიღო, რომ საქართველოსთან ურთიერთობებს გადახედოს.**

**რა არის მისი ზუსტი მოქმედების და დავალების ლოგიკა, ამაზე ცალსახა პასუხი, ალბათ, როცა ელჩი ჩამოვა და დაიწყებს აქ დიპლომატიურ საქმიანობას, გამოჩნდება. როგორც ვიცი, ეს ელჩი საკმაოდ გამოცდილი დიპლომატია, რომელიც თავისი კონსტრუქციული ქმედებებით და განცხადებებით არის ცნობილი, თუმცა რასაც ელჩი თავისი სახელმწიფოსგან და პრეზიდენტისგან დავალებას მიიღებს, იმ პოლიტიკას გაატარებს. ამიტომ ამაზეც გადაჭრით რთულია საუბარი“,** — ამბობს ანალიტიკოსი.

თუმცა მისი აზრით, რადგან აქ ელჩის დანიშვნა გადაწყვიტა, ფაქტი ისაა, რომ საქართველოს ხელისუფლების წითელ ხაზებს რუსეთისთვის სანქციების დაწესებასთან დაკავშირებით იღებენ და იძულებულები არიან ამ ფაქტს შეეგუონ.

**„საქართველომ უკრაინას თავისი შესაძლებლობის ფარგლებში ძალიან დიდი დახმარება გაუწია. იქნება ეს უკრაინელი ლტოლვილების სათანადოდ მიღება, მათი დასაქმება და არ ვიცი, დახმარება — რომელი ერთი შეიძლება ვთქვათ. ასევე არაერთ საერთაშორისო პლატფორმაზე საქართველომ რომ მხარი დაუჭირა ყველაფერში, მსგავსი მხარდაჭერა ჩვენს სამეზობლოში არავის გამოუხატავს. მიუხედავად იმისა, რომ თავად საქართველოა რუსეთის ოკუპაციის ქვეშ, არასდროს შეშინებია საქართველოს ხელისუფლებას იმისი, რომ უკრაინისთვის საერთაშორისო პლატფორმაზე მხარდაჭერა ღიად გამოეცხადებინა.**

**ამიტომ, ადრე თუ გვიან, კიევსაც და დასავლეთსაც მოუწევდათ ამ რეალობისთვის თვალის გასწორება. ესეც შეიძლება ერთგვარად იმისი აღიარებაც იყოს, რომ საქართველოს ხელისუფლების პრაგმატულმა პოლიტიკამ საბოლოოდ შედეგი გამოიღო. მიხვდნენ, რომ საქართველო არ არის ის ქვეყანა, რომელსაც ასე უბრძანებ და უკარნახებ, რა გააკეთოს, რომელიც საკუთარი ქვეყნის და ხალხის ინტერესების დაცვის ფასად არაფერს შეეპუება. იქნება ეს შანტაჟი თუ სხვა ათასი მუქარა, რომელიც ჩვენმა ქვეყანამ ამ პერიოდის განმავლობაში გამოიარა“,** — ამბობს ანალიტიკოსი.

**ლიკა ბერიკაშვილი**

# მაია სანდუ თამაშობს ევროკავშირის თამაშს, იგი მთლიანად ევროკავშირის თოჯინაა...



**„რუსეთმა საქართველო საკუთარ ორბიტაზე დააბრუნა“, — ამ ბრალდების ავტორი მოლდოვის პრეზიდენტი მაია სანდუა, რომელმაც ევროპის საბჭოს საპარლამენტო ტრიბუნა იმისთვის გამოიყენა, რომ საქართველოს საგარეო პოლიტიკური კურსი გაეკრიტიკებინა. სანდუმ თქვა, რომ რუსეთმა საქართველო საკუთარ ორბიტაზე დააბრუნა, ომის შიშის იარაღად გამოყენებით და იმ გზავნილებით, რომ თითქოსდა არჩევნებზე არასწორი არჩევანი მშვიდობის ფასად დაუჯდებოდათ. რა თქმა უნდა, ამ ბრალდებების დასამტკიცებლად დსთ-ს წევრი სახელმწიფოს პრეზიდენტს არაფერიც არ წარმოუდგენია. ვინ დგას სანდუს ბრალდების უკან და რა მიზანი ამოძრავებს ევროკავშირს? ამ საკითხებთან დაკავშირებით for.ge პოლიტოლოგ, რამაზ საყვარელიძეს ესაუბრა.**

**— მაია სანდუ ერთადერთი ლიდერია, რომელიც საკუთარი სახელმწიფოს დამოუკიდებლობაზე ამბობს უარს და ფაქტობრივად, მზად არის მოლდოვა შეუერთოს რუმინეთს. ეს პიროვნება საქართველოს უყენებს ბრალს, თითქოს რუსულ ორბიტაზე დაბრუნდა საქართველო. რა უნდა მაია სანდუს?**

— ყველა ეს მწვავე პროცესი და უკრაინის ომის პერიოდი რომ ავიღოთ, ისევ ანტირუსული რიტორიკით არის სანდუ გამოჯგიმული დსთ-ში.

**— თუმცა ამბობს, რომ დაიწყებს დსთ-დან გამოსვლის პროცედურებს...**

— ახლა კარგი დროსია, ლამის დამთავრდა ომი უკრაინაში. ლამის — ვამბობ იმიტომ, რომ არის ნიშნები იმისა, რომ ზელენსკიც რაღაც გამოსავალს ეძებს. მაგრამ შენ მამაცხონებულო აქამდე დსთ-ში რაფერ იყავი, მიშა სააკაშვილმა როგორ უნდა გაჯობოს?! ომის შემდეგ პირველი რაც ქნა — გამოვიდა დსთ-დან. ვაჟკაცობაში მიშა რომ გაჯობებს, ისეთ ადამიანზე ლაპარაკი ზედმეტია. სანდუ თამაშობს ევროკავშირის თამაშს. მთლიანად ევროკავშირის თოჯინაა და იღებს ამის გასამჯელოს — ევროკავშირის მხარდაჭერის გარეშე ვერ იქნებოდა პრეზიდენტი. ევროკავშირი ნებისმიერ დარღვევას პატიობს სანდუს და ცდილობს, შეინარჩუნოს ეს ფიგურა.

ჩვენს მიმართაც ბუნდოვანია მათი პოლიტიკა და ძირითადად ინარჩუნებენ იმ ხაზს, რომ ხელი შეუწყონ ხელისუფლების ცვლილებას. აბა, ეს „აკაცუკები“ რომ დარბიან, რითი დარბიან? მაგათ სირბილს ხომ სჭირდება დაფინანსება? რახან დარბიან ე.ი. არსებობს ასეთი ინტერესი — დაფინანსება. ეს ინტერესი ისევ იქამდე მიდის, რომ საქართველოში შეიცვალოს ხელისუფლება. ეს წითელ ხაზად გასდევს მთელს ამ პროცესს და სანდუმაც მხარი აუბა.

— დსთ-ს წევრი ქვეყნის პრეზიდენტის განცხადება რას ნიშნავს, როდესაც ღიად, ევროპული ტრიბუნიდან საქართველოს ბრალს სდებს, თითქოს ქვეყანა პრორუსულია. ყველაზე ნაკლებად ეკუთვნის ეს პრეტენზია საქართველოს, რომლის ორი ტერიტორია არის ოკუპირებული და ხელისუფლების გაცხადებული პოლიტიკაა, რომ ვიდრე არ მოხდება საქართველოს დეოკუპაცია, რუსეთთან არანაირი მოლაპარაკება არ დაიწყება...

თანაც, ეს ყალბისმქმნელი ევროპა, რომელიც იძახის, რომ არიქა რუსეთში მიდიხარ, ფაქტს ვერ ასახელებს, რის საფუძველზეც შეიძლება დაასკვნან, რომ საქართველო მიდის რუსეთისაკენ. ვფიქრობ, რომ მანდ სხვა ძაღლის თავია ჩადებული.

**— რომელი ძაღლის თავი?**

— ეს წამოსცდა უილსონს, რომელიც რატომღაც დიდი ხანია ჩუმად არის. მან თქვა ასეთი ფრაზა — „რუსეთი და ჩინეთი“. ჩინეთის კუჭის წვა აქვთ მათ, იმიტომ რომ რეალურად ვერც იტყვის ვერაფერს და ჩანს კიდევაც, რომ საქართველოს ჩინეთის მიმართულებით აღებული აქვს კურსი. გვაბრალებენ, რომ რუსეთისკენ გვაქვს კურსი აღებული და ამ დროს არც ერთ ნაბიჯში ეს არ ჩანს. მაგრამ ევროპულ ლიდერებს ჩინეთი აწუხებთ. ჩინეთი თუ შემოვიდა კავკასიაში, ეს ევროკავშირისთვის და ზოგადად, ევროპისთვის იქნება ძალიან დიდი ძალის მქონე ქვეყნის, აზიური ვეფხვის მოახლოება — ასეთ დროს შიში ბუნებრივი მოვლენაა. ამიტომ, რა არის საჭირო? — საჭიროა იმ ძალის მოყვანა, რომელიც ჩინეთზე არ არის ორიენტირებული და ასეთი არის „ნაციონალური მოძრაობა“. სიტყვა ჩინეთი არ უხსენებია „ნაციონალურ მოძარაობას“ არსად, თუმცა არც იმას არ გამოვრიცხავ, რომ ევროპის მხრიდან ანტირუსული რიტორიკით სწორედ რუსული პოლიტიკა იყოს შენიღბული, ან ეს იყოს დამთხვევა. იმიტომ, რომ რუსეთსაც არ აწყობს ჩინეთი კავკასიაში — ჩინური დრაკონი ქვევიდან შეუძვრება რუსეთს და გამოაჭამს ჩრდილო კავკასიას, ამიტომ არ აწყობს.

**— აშინებთ ჩინეთის ფაქტორი და სანდუ შეიძლება იყოს ერთ-ერთი მყვირალა ხმა ევროპული ტრიბუნიდან, რომელიც სჭირდებათ საქართველოს წინააღმდეგ განცხადებების გასაკეთებლად და მეორე მოტივი, რომელიც ახსენეთ — ხელისუფლების შეცვლა. მიუხედავად წარუმატებლობისა, რომელიც დასავლეთს აქვს საქართველოში, მაინც რჩება ძალაში, რომ იქნებ შეძლონ საქართველოში პოლიტიკური პროცესების გარდატეხა და ხელისუფლებაში „ნაციონალური მოძრაობის“ მოყვანა?**

— დიდი ხანია მომწიფებული მაქვს ეჭვი, რომ ამათ ხომ არ აინტერესებთ მოვლენ თუ არა ხელისუფლებაში, მე მგონია, რომ არც უცხოელებს არ აინტერესებთ რევოლუცია მოდგება თუ არა. დიდი ეჭვი მაქვს, რომ აქ შეიძლება მოტივი იყოს კორუფცია. ამ პროცესების დაფინანსებაში ბიუჯეტიდან იღებენ სახსრებს, რომლითაც თვითონაც ითბობენ ხელს. ამიტომ, მათთვის მთავარია ამ სახსრებთან მიღწევა, მათ გახარჯვაზე ხალხის გაყოლიება, იმ ამოცანის ძახილით, რომ ჩვენ უნდა შევცვალოთ ხელისუფლება იქ, სადაც რუსეთის გავლენაა.

**— საქართველო, ისევე როგორც მოლდოვა და უკრაინა არიან კანდიდატის სტატუსის წევრი ქვეყნები. ვხედავთ, რა ხდება უკრაინაში, მაგრამ მოლდოვა, რომელიც არ ომობს, გაცილებით რთული მდგომარეობა აქვს როგორც კორუფციის, ისე ეკონომიკური და პოლიტიკური კუთხით, მათ შორის სიღარიბის მაჩვენებელი არის იმაზე მძიმე, ვიდრე ეს არის საქართველოში. როდესაც ამ ქვეყნის ლიდერი საქართველოსთვის იცლის, ცხადია, რომ მისი ენით ეს ბრალდება ევროკავშირმა წაუყენა საქართველოს, მაგრამ რა იქნება შემდეგ, რა ნაბიჯები შეიძლება ამას მოჰყვეს?**

— შეიძლება ძალიან უხეში ვიყო ახლა, მაგრამ როცა აკვირდები ევროკავშირის ქმედებას ან როცა აკვირდებოდი დემოკრატების მოქმედებას ამერიკაში, მაინც მგონია, რომ ხშირად ვერ წარმოიდგენ, რამდენად უნამუსო და უტვინო შეიძლება იყოს ადამიანი. მილიონობით პრეზერვატივი გააგზავნეს ერთ-ერთ აფრიკულ ქვეყანაში და ამის ქვეტექსტი რა იყო? — ქალებს რომ გააუპატიურებენ დაცული უნდა იყვნენო! კომედიის დონეზე გადის, ისევე როგორც კომედიის დონეზე გადის მშობლების ნუმერაციის დაწყება. ასეთ დროს ადამიანს გიჩნდება განცდა, რომ ესენი მართლა საღ აზრს მოწყვეტილი არიან თუ... ასეთი იდიოტური ნაბიჯებისთვის მილიონები იხარჯება. პატიოსნება ის, რომ თუ ამ ქვეყნებში ცუდი, მაგრამ გამართული მიზანი აქვთ, გადადგან რაღაცა ნაბიჯები თუნდაც იგივე გლობალიზაციის მიზნით და მთელი მსოფლიო მოაქციონ თავიანთი კანონების ქვეშ. მაგრამ ვეჭვობ, რომ კორუფციის გარდა სხვა არაფერი აინტერესებთ.

**— ზოგადად, ჩვენ მიგვაჩვიეს, რომ ფაქტების გარეშე გვიყენებენ ბრალდებას. ხომ არ დადგა ის დრო, რომ საქართველოს დიპლომატიურ უწყებას ასეთ შემთხვევაში ჰქონდეს შესაბამისი რეაგირება?**

— ვფიქრობ, ქართული პოლიტიკა ადგას ამ გზას. გავაანალიზოთ, თუკი ჭაობაში ხარ, ზედმეტი მოძრაობის შემთხვევაში უფრო ღრმად წახვალ ქვევით. დავუშვათ, უკმაყოფილება გამოთქვა საქართველომ — ვისთან უნდა იჩივლოს? ისინი ხომ შემდეგ ტყუილს გამოაცხობენ? ეს პიარბრძოლების ერთ-ერთი ხერხია — თუ პასუხი მიიღეს ერთ თემაზე, იქვე წამოჭრიან ტყუილით ახალ თემას და კიდევ უარესებს დაგაბრალებენ — გეტყვიან, აქლემი ხარო. მაგ ტიპის ბრალდებები ჰქონდა საბჭოთა კავშირს, ლონდონამდე გვირაბის გაყვანას რომ აბრალებდა ხალხს და ხვრეტდა. ასე რომ, ახალი მოვლენა არ არის სიცრუით ხალხის დასჯა.

**— მაშინ როგორი პოლიტიკა უნდა გქონდეს?**

— ამტკიცო, რომ არ გამყავდა გვირაბი ლონდონამდეო, ხომ კიდევ უარეს არგუმენტებს მოიტანენ? ეს ხომ არ არის, სიმართლის დადგენის პროცესისთვის მოწადინებულ ხალხთან საუბარი? ამ შემთხვევაში საუბარია ხალხთან, რომელსაც უნდა შენი დასჯა, მეტი არაფერი. ამიტომ ვამბობ, რომ ზედმეტმა მოძრაობამ შეიძლება უფრო დიდ ჭაობში ჩაგსვას, ვიდრე გაჩუმებამ. მაგალითად, ქუჩაში ხულიგანმა სიგარეტი რომ გთხოვოს და უთხრა, რომ არ ეწვი. გეტყვის რატომ არ ეწევიო და დაგიწყებს ჩხუბს. რა უნდა დაუმტკიცო იმას, კამათში შეყოლას აზრი აქვს? იმას საბაბი უნდა ჩხუბისთვის.

ანალოგიურად, ასეთი ხულიგნური სურათი გვაქვს საქართველოს მიმართ დღევანდელ მსოფლიოში და მარტო საქართველოს მიმართ არა. ამ ულტრალიბერალურმა ძალებმა ამ ხულიგნური მეთოდების ტირაჟირება მოახდინეს ყველგან. საქართველო აღმოჩნდა ერთ-ერთი ყველაზე აკვიატებული წერტილი. იმიტომ, რომ ვის უნდა დაარტყან? — აზერბაიჯანს დაარტყამენ, თურქეთი უდგას მხარში. სომხეთს დაარტყამენ? — უზარმაზარი დიასპორა ჰყავს მსოფლიოში. ამ საქართველოს ნახეს, რომ არავინ არ ჰყავს. იმისთვის, რომ კავკასიის კონტროლი შეძლონ, ყველაზე სუსტი წერტილი, რომლის უკან არავინ არ დგას — არის საქართველო, აიღეს და ურახუნებენ.

**— რამდენად მარტივია საქართველოზე რახუნით კავკასიაზე კონტროლის აღება? საქართველო სუსტია, მის უკან არავინ არ დგას, მაგრამ საქართველო არის ღვთისმშობლის წილხვედრი ქვეყანა...**

— გადაავლეთ ისტორიას თვალი, არ ჩაგრავდნენ საქართველოს არასოდეს?

**— ყოველთვის. საქართველოს ისტორიას აქვს ჩაგვრის და ღალატის უამრავი მაგალითი...**

— პატარა ქვეყნებში ღალატი ტიპური რამეა. არის ეს სირთულე — პატარა ქვეყანა, კარგ ადგილას. დიდი ოქროს ზოდი რომ მომცეს ვინმემ, შემეძლება მისი დაცვა? ამიტომაცაა, მდიდრები ცდილობენ დაიცვან საკუთარი ქონება. ანალოგიურად, ჩვენთვის ქონებაა ჩვენი ქვეყანა, ჩვენი ტერიტორია და უნდა დავიცვათ. თუ არ დავიცავთ, წაგვართმევენ, ოღონდ არა ისე, როგორც ადრე. ტერიტორია მიიერთონ და გუბერნია გახადონ. არა, მთავარი გავლენაა. ვის ჭკუაზე ივლი, ამაზე მიდის ნადირობა.

სააკაშვილი ნებისმიერი დამკვეთის ჭკუაზე დადიოდა, „ქართული ოცნება“ გაჯიუტდა და არის ამიტომ ჭიდაობა. ამიტომ გაბრალებენ — „ოცნება“ გაჯიუტდა იმიტომ, რომ რუსების ზურგი აქვსო. მაგრამ მაშინ რუსეთთან რატომ გაჯიუტდა და რატომ იძახის, რომ სანამ უკან არ წაიღებთ აღიარებას, მანამდე არ დავიწყებთ თქვენთან დიალოგს და დიპლომატიურ ურთიერთობასო? რუსეთსთვისაც ჯიუტია ეს „ოცნება“. საერთოდ ჯიუტია. დამყოლი არ არის, არც იქით და არც აქეთ. ესენი ადგნენ და გაბრალებენ, რომ რუსეთის ჭკუაზე დადიხარო. სხვათა შორის, რუსი პროგანადისტებიც თვლიდნენ, რომ საქართველო ამერიკის ჭკუაზე დადიოდა და სააკაშვილი მიაჩნდათ ამის განსახიერებად. ანუ, თუ გინდა, რომ შუაში გაიარო და არც ერთის გავლენის ქვეშ არ მოხვდე, ორივე დაგიწყებს ბრალდებას, რომ შენ მეორე მხარეს ემხრობი. უსიამოვნო, მაგრამ სავსებით ლოგიკური საქციელია მათი მხრიდან.

**თამთა ქარჩავა**




**მგონია, უცხოელებს არ აინტერესებთ რევოლუცია, ამ პროცესების დაფინანსებაში ისინი ბიუჯეტიდან იღებენ სახსრებს, რითაც ითბობენ ხელს**

**საქართველო აღმოჩნდა ერთ-ერთი ყველაზე აკვიატებული წერტილი. იმიტომ, რომ ვის უნდა დაარტყან? — აზერბაიჯანს დაარტყამენ, თურქეთი უდგას მხარში. სომხეთს დაარტყამენ? — უზარმაზარი დიასპორა ჰყავს მსოფლიოში. ამ საქართველოს ნახეს, რომ არავინ არ ჰყავს. იმისთვის, რომ კავკასიის კონტროლი შეძლონ, ყველაზე სუსტი წერტილი, რომლის უკან არავინ არ დგას — არის საქართველო, აიღეს და ურახუნებენ**

**ნებისმიერი რეფორმის ეფექტიანობა, მისი დროულად დაწყება, ამოცანების მკაფიოდ ჩამოყალიბება და დასახული მიზნების სწრაფად მიღწევა, ანუ სასურველი შედეგის მიღება რომაა, ამას ბევრი მტკიცება არ სჭირდება. ამ პირობების დაცვა მით უფრო მნიშვნელოვანია, როცა საქმე ადამიანთა ჯანმრთელობას ეხება.**

**საქართველოში ჯანდაცვისა და სოციალური უზრუნველყოფის სისტემების რეფორმა-რეორგანიზაცია ათეულ წელზე გაცილებით მეტი ხნის წინათ დაიწყო და, უნდა ითქვას, მთელი რიგი მიღწევა მოსახლეობის სამედიცინო სერვისებით უზრუნველყოფის მხრივ, ნამდვილად თვალში საცემია, თუმცა, სამწუხაროდ, ხარვეზებიც მრავლადაა. ამ ჯერზე ყურადღებას ქვეყნის მხარეებში სამედიცინო მომსახურების გარკვეულ ასპექტებზე შევაჩერებთ, რომლებიც, ვფიქრობთ, სასწრაფოდ საჭიროებენ „შეკეთებას“.**

**„სოფლად ოჯახის ექიმის“ ინსტიტუციის მუქ-ჩრდილებზე, ასევე არსებულ პრობლემებსა და მათი გადაჭრის გზებზე კომენტარი მარნეულის რაიონული კლინიკის ექიმ-კარდიოლოგს, გენეტიკის საკითხებში სასამართლოს ექსპერტს ნინო ჩიქოვანს ვთხოვეთ.**



# „ოჯახის ექიმი სოფლად“: სიკეთე — ქმედითი თუ მოჩვენებითი?!

**იმის გამო, რომ ბევრი პაციენტი რაიონულ ცენტრში საჭირო რეგულარობით ჩასვლას ვერ ახერხებს, რისი უთვალავი მიზეზი შეიძლება არსებობდეს, გამოდის, რომ სახელმწიფო ერთი მხრივ მადლს ისხამს, როცა სნეულ ადამიანს უფასო სამედიცინო მომსახურებას (ამ შემთხვევაში გარკვეული ანალიზების ჩატარებას) და მედიკამენტებს სთავაზობს, ხოლო მეორე მხრივ უკვე გამოკეთებულ პაციენტს ყოფითი პრობლემის გადაჭრაში ელემენტარულად ხელს არ უწყობს!**

**— ჩვენში ჯანდაცვის რეფორმა რომ დაიწყო 2013 წელს, მისი პირველი ტალღა ჰოსტიტალურ სექტორს შეეხო და ამ დროულმა რეორგანიზაციამ იმხანად ძალიან ბევრი ადამიანის სიცოცხლე იხსნა,** — ამბობს ქალბატონი **ნინო. — მაგრამ გავიდა ხანი და ეს თითქოსდა მოცილებული ტვირთი ჰოსპიტალურ სექტორს კვლავ საგრძნობ ტვირთად დააწვა. ამის მიზეზი კი ის გახლდათ, რომ გადაუდებელ ვითარებაში, პაციენტები ისევ სტაციონარულ კლინიკებს მიმართავდნენ ყველა აუცილებელი სამედიცინო პროცედურის თუ გამოკვლევის ჩასატარებლად, ვინაიდან ჯანდაცვის პირველადი რგოლი, რომლის ფუნქციაა დაავადებათა პრევენცია, ადრეულ სტადიაზე გამოვლენა და უკვე დადგენილ ქრონიკულ შემთხვევებში გრძელვადიან პერსპექტივაში მართვა, ფაქტობრივად აღარ არსებობდა. არადა, სამედიცინო მომსახურების სწორედ ეს სეგმენტი არის ჰოსპიტალური სექტორის ჭარბი დატვირთვისგან ერთგვარი „დამცველი“.**

ჰოდა, ჯანდაცვის სამინისტროში რომ გაათვითცნობიერეს, თუ რა დიდი ჯაფა დაადგა ჰოსპიტალურ სექტორს, პირველადი ჯანდაცვის რგოლის რეფორმირებას სწორედ ამან მისცა მძლავრი ბიძგი.

**— რაში მდგომარეობდა, კერძოდ, ამ რეფორმის არსი?**

— თავდაპირველად თბილისში შეირჩა რამდენიმე საპილოტე პოლიკლინიკა, რომელთაც ამჟამად „საოჯახო მედიცინის ცენტრები“ ეწოდებათ და რომლებიც შემდგომ დედაქალაქის ყველა რაიონში ჩამოყალიბდა.

ამ ეტაპზე, ქვემო ქართლის მარნეულის რაიონში, სადაც ვმუშაობ, მოქმედებს ჯანდაცვის პირველადი რგოლის ამბულატორიული ნაწილი, სადაც ოჯახის ექიმის პროგრამის ფარგლებში სოფლად მცხოვრებ პაციენტებს ვემსახურებით, რომლებიც რაიონის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარეობენ.

ჯანდაცვის სამინისტროს დაქვემდებარებაშია დანაყოფი **„ოჯახის ექიმი სოფლად“**, რომელსაც ჰოლდინგი განაგებს და ყველა სოფელს ჰყავს თავისი ექიმი.

**— პაციენტების რა ოდენობაა განპირობებული ერთ ექიმზე?**

— გააჩნია იმას, თუ რამდენი კომლია სოფელში. თუ სოფელი პატარაა, შეიძლება ორ მომიჯნავე დასახლებას ერთი ექიმიც კი ემსახურებოდეს.

**— რა ხარვეზებს ხედავთ პროგრამის „ოჯახის ექიმი სოფლად“ ამჟამად მოქმედ სტრუქტურაში?**

— ზედმეტ სიმკაცრეში ნუ ჩამომართმევთ, მაგრამ **მიმაჩნია, რომ პროგრამას „ოჯახის ექიმი სოფლად“ უფრო გარკვეული გუტაფორული ელფერი დაჰკრავს, რადგან ჯეროვნად არ ითვალისწინებს პაციენტების უმეტესი ნაწილის არასახარბიელო სოციალურ, ფიზიკურ და მატერიალურ შესაძლებლობებს.**

**— უფრო კონკრეტულად რომ ვილაპარაკოთ?**

— დავიწყოთ იმით, რომ სოფლად მცხოვრებ პაციენტთა უმეტესობა ასაკოვანი ადამიანები არიან, რომელთაგან ბევრს ოჯახში ახალგაზრდა წევრები არ ჰყავს, ამდენად მათთვის ფიზიკურად და მატერიალურადაც რაიონულ ცენტრში ჩასვლა და ჯერ ოჯახის ექიმთან მისვლა და შემდგომ კონკრეტულ სპეციალისტთან მოხვედრა, საკმაოდ რთული საქმეა. მით უმეტეს, როცა ჯანმრთელობის მდგომარეობა ამის გაკეთებას საკმაოდ ინტენსიურად საჭიროებს. ამას მიუმატეთ ის, რომ პენსიონერ და სოციალურად გაჭირვებულ ქრონიკული სნეულების მქონე პაციენტებს სახელმწიფო უფასო მედიკამენტებს კი აძლევს, ოღონდ მათი მიღების უფლება ყოველ სამ თვეში ერთხელ განახლებას საჭიროებს, რაც ავადმყოფის ისევ რაიონულ ცენტრში აუცილებელ ჩასვლას მოითხოვს. ამ სისტემის კიდევ ერთი ნაკლი ისაა, რომ ელემენტარული გამოკვლევების (ვთქვათ, სისხლის თუ შარდის ანალიზების) ჩასატარებლად, პაციენტი ისევ უნდა მივიდეს რაიონული ჯანდაცვის სათაო დაწესებულებაში.

შორს ვარ იმ აზრისგან, რომ სოფლის ყველა ამბულატორიაში სრულფასოვანი ლაბორატორია იყოს მოწყობილი: ყოველივე ზემოთქმულის თავიდან ასაცილებლად, იქ საჭიროა მხოლოდ ფლებოტომიის კაბინეტის (ვენიდან სისხლის ასაღებად), ცენტრიფუგისა და მაცივრის განთავსება. საანალიზე ნიმუშების ცენტრალიზებულ ლაბორატორიაში ორგანიზებულად მიტანის შემდეგ კი პასუხები უშუალოდ ოჯახის ექიმს უნდა გადაეცემოდეს, რომელიც საჭირო კორექტირებას პაციენტებამდე კომპიტურით მიიტანდა! ყველაფერი ამის გაკეთება კი ელემენტარულად ინტერნეტის მეშვეობით შეიძლება! თითო კომპიუტერი თითქმის ყველა სოფლის ამბულატორიაში დგას!

ამით გაჭირვებულ პაციენტებს ძალიან დიდი შეღავათი მიეცემოდათ!

იმის გამო კი, რომ ბევრი პაციენტი რაიონულ ცენტრში საჭირო რეგულარობით ჩასვლას ვერ ახერხებს, რისი უთვალავი მიზეზი შეიძლება არსებობდეს, გამოდის, რომ სახელმწიფო ერთი მხრივ მადლს ისხამს, როცა სნეულ ადამიანს უფასო სამედიცინო მომსახურებას (ამ შემთხვევაში გარკვეული ანალიზების ჩატარებას) და მედიკამენტებს სთავაზობს, ხოლო მეორე მხრივ უკვე გამოკეთებულ პაციენტს ყოფითი პრობლემის გადაჭრაში ელემენტარულად ხელს არ უწყობს!

**— კიდევ რა საკითხებია გადასაჭრელი სოფლად ჯანდაცვის ამ სექტორში?**

— ასევე მეტად მნიშვნელოვანია ქვეყნის თითოეულ მოქალაქეზე სამედიცინო მონაცემთა ერთიანი ბაზის შექმნა. ჩვენ გვაქვს ამის შესანიშნავი მაგალითი იუსტიციის სახლების სახით, სადაც მოქალაქის პირად ნომერზე მიბმულია მასზე რეგისტრირებული უძრავ-მოძრავი ქონების ნუსხა, უახლოესი ნათესაობის სია, სამუშაო გამოცდილება და ა. შ. მონაცემთა ასეთივე ერთიანი ბაზა სამედიცინო სფეროშიც რომ შეიქმნას, სადაც პოტენციური პაციენტის პირველადი სამედიცინო რგოლიდან მოყოლებული, კერძოდ, დაბადების თარიღიდან დაწყებული, აღნუსხული იქნება ყველა აცრა, გადატანილი ავადმყოფობა, ჩატარებული ანალიზი და ოპერაცია, სისხლის ჯგუფი, რეზუსი, ანტროპოლოგიური მონაცემები, ალერგიის სტატუსი, სტომატოლოგიური და სხვა მონაცემები, თანაც მასზე წვდომა მხოლოდ ლიცენზირებულ ექიმს ექნება, რომელსაც უშუალოდ ავადმყოფთან უწევს მუშაობა, ნამდვილად დიდად გააადვილებდა საქმეს და ჯანდაცვის დონეს ქვეყანაში გაცილებით მაღალ საფეხურზე გადაიყვანდა!

აქვე ისიც უნდა ვთქვა, რომ ასეთი ბაზის შექმნას გარკვეული რისკებიც ახლავს, რომ ადამიანის ჯანმრთელობის შესახებ მონაცემებს, რომლებიც სამედიცინო საიდუმლოს წარმოადგენს, რაიმე არაკეთილსინდისიერი ზრახვით მავანი დაეუფლოს, მაგრამ ასეთივე რისკები ხომ იმავე იუსტიციის სახლების მონაცემთა ბაზასა და საბანკო სფეროშიც არსებობს?

**— კი ბატონო, მაგრამ რამდენადაც ვიცი, არის კიდევ არაერთი პრობლემური საკითხი, რომელთა მოუგვარებლად ძნელია ქვეყანაში სამედიცინო მომსახურების დონის სასურველ სიმაღლეზე აყვანა. განა ასე არ არის?**

— ნამდვილად ასეა. მაგალითად, არსებობს სადაზღვევო კომპანიების მოღვაწეობასთან დაკავშირებული პრობლემები. საქმე ის გახლავთ, რომ საქართველოში სამედიცინო სადაზღვევო პაკეტების ფასი იმდენად მაღალია, რომ მისი ყიდვის შესაძლებლობა მოსახლეობის ძალიან მცირე ნაწილს თუ აქვს. დაზღვეულთა ძირითადი მასა ქვეყანაში კორპორაციული ფორმით სარგებლობს და არა ინდივიდუალურით, ისიც სახელმწიფოს ზეგავლენით, რომელიც ორგანიზაციას თანამშრომელთა დაზღვევას „ურჩევს“.

**კიდევ ერთი მნიშვნელოვანი საკითხი ისაა, თუ რამდენადაა საჭირო საქართველოში სახელმწიფო დაფინანსებაზე მყოფი ამდენი ჰოსპიტალი?**

მაგალითად, სამედიცინო მომსახურების თვალსაზრისით, ამ მხრივ მოწინავე ქვეყნებში, სახელმწიფოს (მუნიციპალური) დაფინანსებით არსებული ჰოსპიტლების ოდენობა მოსახლეობის ოდენობის სტანდარტთან შედარებით დგინდება — ვთქვათ, რამდენი მუნიციპალური საავადმყოფო უნდა იყოს ყოველ ასიათას მოსახლეზე. ჩვენში კი ამას სამწუხაროდ, არავინ ითვალისწინებს, შესაბამისად ბიუჯეტიდან სამედიცინო სფეროზე გაწერილი სახსრები უყაირათოდ იხარჯება.

მე თუ მკითხავთ, თბილისში პაციენტებს, ვისაც მეტი კომფორტი უნდა და საამისოდ ფინანსური შესაძლებლობაც გააჩნიათ, კერძო კლინიკებს უნდა მიმართონ, სამაგიეროდ, ვინც სახელმწიფო დაფინანსებაზე მყოფ საავადმყოფოებში იმუშავებდა — ექიმებსაც და საშუალო მედპერსონალსაც! — ღირსეულ ანაზღაურებას მივცემდი!

ამას იმიტომ ვამბობ, რომ ექიმს უამრავი რამ სჭირდება, ვთქვათ, მუდმივად ცოდნის განახლება. ამჟამად არსებული ე. წ. „უწყვეტი განათლების პროგრამა“ და გარკვეული კრედიტ-ქულების დაგროვების სისტემა კი ფულის მახეა და სრული სიმახინჯე! განა ექიმმა კვირაში ერთი სტატია მაინც არ უნდა წაიკითხოს თავის სპეციალობაში? და როდის უნდა მოასწროს ეს, როცა ერთი სამსახურიდან მეორეში და მერე კიდევ მესამეში გარბის?!. ეს ეხება როგორც მორიგე ექიმებს, რომლებიც ჰოსპიტლებში მუშაობენ, ისევე ამბულატორიაში დასაქმებულებსაც, რადგან ერთ ადგილზე მომუშავის ანაზღაურება არც ერთი კატეგორიის ექიმს არ ჰყოფნის!

ჯანდაცვის სისტემა ჩვენში ამ მხრივ აუღებელი ციხე-სიმაგრეა!

ამასთან, პირველადი ჯანდაცვის სეგმენტს კატასტროფულად აკლია კვალიფიციური კადრები, რისი ერთ-ერთი განმაპირობებელი მიზეზია მცირე ანაზღაურება. სოფლის ოჯახის ექიმისთვის ერთი მედდის ყოლა ნამდვილად არასაკმარისია, ვინაიდან მოსახლეობის უმეტესი ნაწილი ხანდაზმულია, რომელთა დიდი ნაწილი მარტოა დარჩენილი, ამიტომ სხვა პაციენტებზე მეტ ყურადღებას საჭიროებენ.

**— სიმართლე გითხრათ, თქვენმა საუბარმა ძალზე მძიმე შთაბეჭდილება დატოვა! ზოგი რამ, პირადად მე, მანამდეც ვიცოდი, ბევრი რამ ახლა თქვენგან გავიგე, რამაც გული მატკინა. ნუთუ ყველაფერი ასე უღიმღამოდაა აწყობილი, რეფორმას რა სიკეთე მოჰყვა?**

— 2013 წელს, როცა მინისტრ სერგეენკოს დროს ჯანდაცვის სისტემის რეფორმა დაიწყო, მეც და ბევრ ჩემს კოლეგას გვეგონა — ახლა კი გვეშველა-თქო! მაგრამ დღესდღეობით თუ სამედიცინო სფეროში რაღაც ხელშესახები წარმატებები არსებობს და პაციენტები კმაყოფილნი არიან, ეს, ლომის წილად, ცალკეულ სპეციალისტთა და არა არსებული სისტემის დამსახურებაა! საბედნიეროდ, ჩვენში საკმაოდ მრავლად არიან კეთილსინდისიერი ექიმები, რომლებიც ძალ-ღონეს არ იშურებენ პაციენტთა შერყეული ჯანმრთელობის გამოსაკეთებლად!

**— რა უნდა გაკეთდეს კონკრეტულად, რა უნდა მოიმოქმედოს სფეროს ხელმძღვანელობამ?**

— ეს უკვე კონკრეტულად სპეციალისტებმა, საქმის ექსპერტებმა, საქმეში კარგად გათვითცნობიერებულმა პროფესიონალებმა უნდა მოიფიქრონ! გარედან მაინც ყველაფერი არ ჩანს. ხელმძღვანელობამ უნდა მოუსმინოს სპეციალისტებს — ბოლო ასეთი შეხვედრა როდის იყო, ვერც კი ვიხსენებ...

ესაუბრა
**ოთარ ტურაბელიძე**

## ბადრი ცირამუა — 75

# სიყვარულითა და სითბოთი სავსე პოეტი, პუბლიცისტი, პატრიოტი



75 წლისა შესრულდა თვალსაჩინო ქართველი პოეტი, ჟურნალისტი და საზოგადო მოღვაწე ბადრი ცირამუა. ამის გამო საქართველოს მწერალთა კავშირმა იუბილარს მისალმება გაუგზავნა. მისალმებაში ნათქვამია:

**ბატონო ბადრი!**

**ჩვენო ძვირფასო მეგობარო!**

საქართველოს მწერალთა კავშირი, თქვენი თანამოკალმენი სიყვარულით მოგესალმებიან დიდებულ პოეტსა და მოაზროვნეს და გილოცავენ დაბადების 75 და ლიტერატურულ-შემოქმედებითი მოღვაწეობის 50 წლისთავს.

თქვენ ქართველ პოეტთა იმ მცირერიცხოვან რაზმს ეკუთვნით, რომელიც ღირსეულად აგრძელებს დიდი ქართული პოეზიის სახელოვან ტრადიციებს, იმ პოეზიისა, რომელიც ტოლს არ უდებს მსოფლიო ტიტანების შედევრებს და მათ გვერდით იკავებს ადგილს...

თქვენი სამწერლო ნათლობა 1975 წელს შედგა, როდესაც თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ლიტერატურულ ალმანახ „პირველ სხივში" პირველი ლექსები გამოაქვეყნეთ. მას შემდეგ ზუსტად ნახევარი საუკუნე გავიდა და ამ ხნის განმავლობაში სრულად გაცხადდა თქვენი პოეტური ძალმოსილება და ნიჭიერება. ამის დასტურია თქვენი ისეთი პოეტური კრებულები, როგორიცაა „ლტოლვა", „პოეტური მონოლოგები", „მიყვარხარ", „ქარო, ქარო, იჩქარ", „სხივების კონა". თქვენ ხომ მარადიულ ღირებულებებზე წერთ, წერთ სიკეთესა და ბოროტებაზე, სიყვარულსა და სიძულვილზე, ერთგულებასა და ღალატზე, იმ ბრძოლაზე, უხსოვარი დროიდან რომ დაიწყო და დღემდე გრძელდება არსთაგამრიგესა და ლუციფერს შორის. თქვენი ლექსები ნათლის ღაღადისია. მტკიცედ გწამთ, რომ დედამიწა ერთი დიადი ტაძარია, ჩვენ კი, ადამიანები, მის სადიდებლად დანთებული კელაპტრები და ვაი მას, ვისაც ეს ვერ გაუგია, ვერ გაუთავისებია. თქვენი პოეზიის ლირიკული გმირი გოდების კედელთან – მარადიული ტანჯვის სიმბოლოსთან დგას და შესცქერის, თუ როგორ შესევიან ეშმას ნაშიერნი მის საესავ მამულს, როგორ ცდილობენ ძირი გამოუთხარონ ყველაფერ იმას, რამაც აქამომდე მოიყვანა ქართველთა ამაყი და ქედუხრელი მოდგმა.

ყოველივე ამის შემხედვარეს ყველაფრის მიტოვება სურს, უნდა, რომ ცის ლაჟვარდს მიეახლოს, დიახაც რომ ცა ენატრება, სიყვარულით და სითბოთი სავსე ცა, მისი ფიქრების ვრცელი საუფლო, მაგრამ მანამდე იმის გარკვევას ცდილობს, რა იმალება ლეთის გადაღმა, რა ნათელი გამოკრთის მისი სანახებიდან, რა წალკოტი ილანდება იმ იდუმალებით მოსილი ნისლებიდან... სიყვარულის ტრფიალია და გასიგრძეგანებული აქვს, რომ ერთადერთი სიტყვა, რომელსაც უფალმა სიბერის გენი ამოუღო, სწორედ სიყვარულია და ამ დიადი გრძნობისთვის აქვს დანთებული მისი სულის ყველა გიზგიზა კოცონი. ერთადერთი, რაც ვერ გაუგია და რისი დაშვებაც წარმოუდგენლად მიაჩნია, ის გახლავთ, რომ სამშობლო, დედასამშობლო პოეტს დედინაცვლად ექცეს და დააეჭვოს იმ ფასეულობებზე, რასაც რწმენით და ღირსებით ემსახურება მთელი სიცოცხლე...

ბატონო ბადრი, თქვენი ლექსები შეტანილია პრესტიჟულ პოეტურ ანთოლოგიებში, თარგმნილია უცხოურ ენებზე.

სხვადასხვა დროს მუშაობდით თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობის რედაქტორად, გაზეთ „ახალგაზრდა კომუნისტის" სპეციალურ კორესპონდენტად და განყოფილების გამგედ; საქართველოს ტელევიზიისა და რადიოს სახელმწიფო კომიტეტში ინფორმაციის მთავარი რედაქციის განყოფილების გამგედ, მთავარი რედაქტორის პირველ მოადგილედ, საზოგადოებრივ-პოლიტიკური მიმართულების გადაცემების აღმასრულებელ პროდიუსერად და ყველგან სიმართლეს და მხოლოდ სიმართლეს ემსახურებოდით.

განსაკუთრებით აღსანიშნავია საქართველოს სახალხო მეურნეობის და ქართული სოფლის პრობლემებზე თქვენი პრინციპული, უშუალო და ჟურნალისტურად დახვეწილი გადაცემები. თქვენი მრავალწლიანი ღვწა და რუდუნება გალაკტიონ ტაბიძის პრემიით და ოქროს მედლით, ჯემალ აჯიაშვილის პრემიით აღინიშნა. მინიჭებული გაქვთ საქართველოს დამსახურებული ჟურნალისტის საპატიო წოდება.

ჩვენო ბადრი! კიდევ ერთხელ სიყვარულით გილოცავთ საიუბილეო თარიღს დიდებულ შემოქმედსა და პიროვნებას, გისურვებთ დიდხანს სიცოცხლეს, ჯანმრთელობას და შემოქმედებით მიღწევებს.

**საქართველოს მწერალთა კავშირი**

---

**გივი მიქანაძე:** მივიღეთ

## გადაწყვეტილება თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტისა და საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის გაერთიანების შესახებ...



# ორი უნივერსიტეტი რეგიონში ერთ წამყვან ცენტრად იქცევა...

**„უმაღლესი განათლების სისტემაში მნიშვნელოვანი რეფორმის დაწყება ეფუძნება სიღრმისეულ ანალიზს, საერთაშორისო პრაქტიკას და ქვეყნის განვითარების გრძელვადიან ინტერესებს. ბოლო პერიოდში განხორციელდა სახელმწიფო უნივერსიტეტების აკადემიური პროგრამების, კვლევითი მიმართულებებისა და ინფრასტრუქტურის შედარებითი ანალიზი. ამ პროცესისა და რექტორებთან წინასწარი კონსულტაციის საფუძველზე მივიღეთ გადაწყვეტილება თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტისა და საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის გაერთიანების შესახებ.**





**ეს იქნება საწინდარი, რომ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი გახდება რეგიონში აკადემიური და სამეცნიერო განვითარების წამყვანი ცენტრი და მნიშვნელოვნად გაიუმჯობესებს საერთაშორისო რეიტინგებს,"** – განაცხადა საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის მინისტრმა **გივი მიქანაძემ.**

როგორც გივი მიქანაძემ აღნიშნა, **უნივერსიტეტების გაერთიანების მიზნით, მინისტრის ბრძანებით შეიქმნება მართვის დროებითი ორგანო „საბჭო" და დაინიშნება რექტორისა და რექტორის მოადგილეების მოვალეობის შემსრულებლები, რომლებიც რეორგანიზაციის პროცესის წარმართვას უზრუნველყოფენ.**

**მინისტრის თქმით, უმაღლესი განათლების სისტემის რეფორმის ფარგლებში, დამატებით შეიქმნება წამყვანი პროფესორის აკადემიური თანამდებობა და ამ თანამდებობაზე კონკურსის წესით შერჩეული პირები უზრუნველყოფენ სასწავლო და კვლევითი საქმიანობის სტრატეგიულ ხელმძღვანელობას, ხარისხის ზრდასა და ახალგაზრდა აკადემიური პერსონალის განვითარებას.**

**„ხაზგასასმელია, რომ მიმდინარე რეფორმის ფარგლებში არ იგეგმება აკადემიური კადრების შემცირება. მაქსიმალურად შევინარჩუნებთ აკადემიურ პერსონალს – გავწევთ ძალისხმევას, რომ მათი გამოცდილება და ცოდნა გამოყენებული იყოს როგორც სასწავლო კომპონენტში, ასევე კვლევით და სამეცნიერო საქმიანობაში. მივიღეთ არსებული ადგილების შენარჩუნების გადაწყვეტილება და არ ვამცირებთ სტუდენტთა ჩარიცხვის კვოტებს",** – აღნიშნა **გივი მიქანაძემ.**

* * *

**მინისტრმა** ზოგადი განათლების სისტემის რეფორმის მნიშვნელობას გაუსვა ხაზი და განაცხადა, რომ **ახალი საკანონმდებლო ინიციატივის თანახმად, პირველკლასელთა ასაკი განისაზღვრება 6 წლით, რაც გულისხმობს იმას, რომ ბავშვის პირველ კლასში დარეგისტრირება შესაძლებელი იქნება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მას 15 სექტემბრის ჩათვლით უსრულდება 6 წელი. ცვლილება ამოქმედდება 2026-2027 სასწავლო წლისთვის.**

**ახალი კონცეფციის თანახმად, სრული ზოგადი განათლება მოიცავს 11 წელს, სისტემაში შენარჩუნდება მე-12 კლასის შესაძლებლობა იმ მოსწავლეებისთვის, რომლებიც ნებაყოფლობით აირჩევენ დამატებითი აკადემიური მზაობის განმტკიცებას წინასწარი რეგისტრაციის საფუძველზე. საკანონმდებლო ცვლილებების საფუძველზე, ზოგადი განათლების საფეხურები განისაზღვრება შემდეგნაირად: 2026-2027 სასწავლო წლიდან დაწყებითი საფეხური – I-VI კლასები, საბაზო საფეხური – VII-IX კლასები, ხოლო საშუალო საფეხური – X-XI კლასები 2027-2028 წლიდან. ამავე სასწავლო წლიდან, მე-11 კლასში იქნება უზრუნველყოფილი სკოლაში ორგანიზებული რეპეტიტორიუმი, რომელიც მოსწავლეს მისცემს შესაძლებლობას სრულფასოვნად მოემზადოს ეროვნული გამოცდებისთვის.**

მინისტრმა ერთი სახელმძღვანელოს პრინციპზე ისაუბრა და აღნიშნა, რომ **სახელმწიფო იღებს პასუხისმგებლობას, შექმნას ერთ კლასში, ერთ საგანში ერთი სტანდარტული სახელმძღვანელო. ეს პროცესი 2028 წლის სექტემბრისთვის დასრულდება. ამასთან, 2026-2027 სასწავლო წლიდან საჯარო სკოლებში, დაწყებით საფეხურზე – I–VI კლასებში – სავალდებულო გახდება სასკოლო ფორმა და სკოლებში შემუშავდება ელექტრონული საკომუნიკაციო საშუალებების გამოყენების წესი, რომელიც უზრუნველყოფს სწავლაზე ორიენტირებულ საგანმანათლებლო გარემოს.**

# ეს ბოდვა კი არა, სინამდვილეა!

**გარდაცვალებამდე რამდენიმე ხნით ადრე, 1974 წელს, ვოლფ მესინგმა თავის უახლოეს მეგობარს კონვერტი გადასცა, რომელსაც ეწერა: გახსენით 2026 წელს.**

**თუმცა კონვერტი 2024 წელს გახსნეს. წერილში ეწერა: როცა შვიდი დაემხობა, მერვე აღორძინდება. ეძებეთ პასუხები არქტიკაში.**

არსებობს მოსაზრება, რომ მესინგი გულისხობდა ახალ სახელმწიფო წარმონაქმნს არქტიკის ტერიტორიაზე. არქტიკა სწრაფად თავისუფლდება ყინულისგან, სადაც, სავარაუდოდ, კოლოსალური ბუნებრივი სიმდიდრეა თავმოყრილი: ნავთობი, გაზი, იშვიათი მეტალები, ვინც შეძლებს არქტიკის კონტროლს, ის გააკონტროლებს მომავალს.

რამდენად გაამართლებს მესინგის წინასწარმეტყველება, ამას 26 თებერვალს შევიტყობთ, მაგრამ ფაქტია, რომ რაღაც აუცილებლად უნდა მოხდეს, რადგან მესინგის ნაწინასწარმეტყველებებში ძალიან ბევრი დამთხვევაა. სიზუსტეა!

კგბ-ს არქივში მესინგის ერთი მეგობრის დაკითხვის ოქმიც აღმოჩნდა, რომელიც დათარიღებულია 1975 წლით, ერთი წლის შემდეგ მესინგის გარდაცვალებიდან. მეგობრის მონათხრობიდან ირკვევა, რომ გარდაცვალებამდე ერთი თვით ადრე მესინგი ტრანსში ჩავარდა და უცნაური რაღაცების ლაპარაკი დაიწყო:

**– ვხედავ ცეცხლს ევროპის თავზე, ვხდავ, როგორ ირღვევა საზღვრები, ვხედავ სამ სამეფო გვირგვინს, რომელიც უფსკრულში ვარდება. ყველაფერი ასრულდება, როცა ზამთარი თავისი სიძლიერის მწვერვალზე იქნება, მაგრამ გაზაფხულის მოახლოებაც მალე დაიწყება. დაიმახსოვრეთ თარიღი 2026 წლის 26 თებერვალი, როცა 6-იანი სამჯერ მეორდება 2026-26, ანუ 2+2+2=6, 6 და 6.**

ეს სიტყვები მოხუცი მესინგის ბოდვად ჩათვალეს მაშინ, მაგრამ ახლა ყველაფერი ემთხვევა, აბსოლუტურად ყველაფერი ისე, რომ თმები ყალყზე დაგიდგებათ.

ვოლფ გრიგორის ძეს არ ულაპარაკია მხოლოდ კატასტროფაზე, მან თქვა ისიც, თუ რა იქნებოდა მერე.

**– დადგება ახალი დრო, უფრო კანონზომიერი, უფრო ადამიანური. დიდი ქარიშხლის შემდეგ დიდი სიწყნარე დაისადგურებს,** – ირწმუნებოდა იგი.

### ახლა ვნახოთ, რა რეკომენდაციები შემოგვთავაზა მესინგმა ჩვეულებრივ მოქალაქეებს.

**პირველი** – შეინარჩუნეთ სიმშვიდე.

**მეორე** – გააკეთეთ აუცილებელი საჭიროებების მარაგი: წყლის, დაკონსერვებული პროდუქტის, წამლების, პირადი ნივთების, არა აპოკალიფსისთვის, არამედ გარდამავალი პერიოდისთვის.

**მესამე** – გაამყარეთ კავშირები ოჯახთან, ოჯახის წევრებთან, მეზობლებთან. რთულ დროში გადარჩებიან არა მარტო მყოფები, არამედ ჯგუფები.

**მეოთხე** – კრიტიკულ პერიოდში დიდი ქალაქებიდან თავი შორს დაიჭირეთ. თუ გაქვთ შესაძლებლობა, გაემგზავრეთ აგარაკებზე, ანდა სოფლად.

**მეხუთე** – არ გამოგრჩეთ ახალი ინფორმაციები, მაგრამ არ ენდოთ ყველას. რთულ პერიოდში ინფორმაციები გაჯერებული იქნება ტყუილებით და ყურმოკრული ამბებით.

**მეექვსე** – შეეცადეთ, დარჩეთ ადამიანად. ექსტრემალურ სიტუაციებში ადამიანები მხეცდებიან, იწყებენ ქურდობას, ღალატს, კაცის კვლას, ვინც ადამიანობას შეინარჩუნებს და კრიზისიდან სუფთა სინდისით გამოვა, ის შეძლებს ააშენოს ახალი სამყარო. ვინც გამხეცდება, ამ სახეს ვეღარ მოიშორებს, ის მხეცად დარჩება.

მესინგი ასევე გვაფრთხილებს: მოერიდეთ წინასწარმეტყველებს, რომლებიც უამრავი გამოჩნდებიან, როგორც ამღვრეულ წყალში თევზები, მომრავლდებიან დემაგოგები, პოპულისტები, შარლატანები, არ დაუჯეროთ მათ, სიმართლეს უსმინეთ, მაშინაც კი, თუ ეს სიმართლე მწარე იქნება. რომელ სახელმწიფოსაც გადარჩენა უნდა: შეეცადეთ, შეინარჩუნოთ ერთიანობა! თუ დაიშლებით, დაიღუპებით!

### ახლა კონკრეტული რეკომენდაციები 26 თებერვლამდე.

**პირველი** – ყურადღებით უსმინეთ ინფორმაციებს 7 სახელმწიფოდან, რომლებიც მოსალოდნელია გაქრეს. ყველა ნიშანი დესტაბილიზაციისა მიგანიშნებთ, რომ წინასწარმეტყველება ახდება.

**მეორე** – თუ გაქვთ დოლარის ან ევროს დანაზოგი, იფიქრეთ მის დივერსიფიკაციაზე. გადააქციეთ ის ოქროდ, ან სხვა ვალუტად.

**მესამე** – თუ გეგმავთ მსხვილ ვაჭრობას ან მნიშვნელოვან ბიზნესგადაწყვეტილებებს, ჯობს, ეს გააკეთოთ თებერვლის ბოლოს, ანდა გადაწიოთ მარტ-აპრილამდე.

**მეოთხე** – მორალურად მოემზადეთ იმისთვის, რომ მოსალოდენელია სამყარო რადიკალურად შეიცვალოს.

მესინგი ირწმუნებოდა: ნუ გეშინიათ ტრანსფორმაციის, გეშინოდეთ სტაგნაციის. ტრანსფორმაცია ყოველთვის ნიშნავს შესაძლებლობას. ყოფილი სამყარო იყო კორუმპირებული, ეგოიზმით სავსე, ცივსისხლიანი, დაე, დაირღვეს, დაე, მის ადგილას აღმოცენდეს ახალი, სამართლიანი, ადამიანური.

**ახლა მთავარი შეკითხვა: შეიძლება თუ არა წინასწარმეტყველება არ ახდეს, ანუ ის შვიდი სახელმწიფო არ განადგურდეს?!**

მესინგის პასუხი ამ შეკითხვაზე ასეთი იყო: შეიძლება ასეთი რამ მოხედეს, მაგრამ წინასწარმეტყველება აუცილებლად ახდება. მოვლენები რამდენად კატასტროფული იქნება, ეს დამოკიდებულია ადამიანებზე.

**თუ სახელმწიფოს მეთაურები სიბრძნეს გამოიჩენენ, ხალხი კი სიმშვიდეს შეინარჩუნებს, თუკი კაცობრიობა დიალოგის გზას აირჩევს კონფრონტაციის ნაცვლად, პროცესი გაივლის შედარებით რბილად. რამდენიმე სახელმწიფო გარდაუვალად შეწყვეტს არსებობას, მაგრამ ეს შეიძლება მოხდეს მსხვერპლის გარეშეც.**

**როგორც მესინგის წინასწარმეტყველებაში წერია, მან იხილა ორივე სცენარი. 7 სახელმწიფო გაქრება რეფერენდუმებისა და მოლაპარაკებების შედეგად და მათ ადგილზე ახალი წარმონაქმნები გაჩნდება. მსხვერპლი მინიმალური იქნება. მეორე სცენარით მსხვერპლი, გენოციდი, მილიონობით დევნილი, ბირთვული დარტყმები, ქაოსი.**

როგორი სცენარი იქნება რეალიზებული, წყვეტს თავად ხალხი და საზოგადოება. ხალხის არჩევანზე, მოქმედებებზე, მათ პოზიციაზეა ყველაფერი დამოკიდებული.

მძიმე პროცესების ფონზე მოჩანს ახალი მსოფლიოს კონტურები. რუსეთი თავის გარშემო იკრებს იმ ხალხებს, რომლებსაც სურთ იყვნენ რუსული სამყაროს ნაწილი, ჩინეთი აფართოებს ეკონომიკურ გავლენებს. ინდოეთი საკუთარ თავს ახალი ძალის ცენტრად აცხადებს, ისლამური სამყარო ერთიანდება, ლათინური ამერიკა აშშ-ის კონტროლიდან გამოდის, აფრიკა იწყებს მცდელობას, დაადგეს საკუთარ პოლიტიკურ გზას. მრავალპოლარული სამყარო იბადება ტანჯვით, მაგრამ ის იბადება.

მესინგი აცხადებდა, დაბადება ყოველთვის მტკივნულია, მაგრამ ის აუცილებელია ახალი ცხოვრების დასაწყებად. ასეა მსოფლიოშიც. სანამ წესრიგი დამყარდება, ახალი რომ წარმოიშვას, ძველი უნდა განადგურდეს. ვოლფ მესინგი ამ პერიოდს კაცობრიობის გარდაუვალ ევოლუციად მოიხსენიებს.

2026 წლის ბოლოსკენ ვითარება სტაბილიზებას დაიწყებს. ახალი საზღვრები უკვე მოხაზული იქნება. ახალი სახელმწიფო წარმონაქმნები აღიარებას მოიპოვებენ. გაფორმდება ახალი კავშირები, ახალი ეკონომიკური სისტემა დალაგდება და დაიწყება ახალი წესრიგი, ისეთი, როგორზეც ლაპარაკობდა მესინგი.



## საიდუმლო წინასწარმეტყველება: 2026 წლის 26 თებერვალი და 7 სახელმწიფოს ბედი

**ასეთ ვითარებაში გვერდს ვერ ავუვლით საქართველოსაც, ქვეყანას, რომელიც ნებსით თუ უნებლიეთ, საუკუნეების განმავლობაში იმპერიათა გზაჯვარედინზე იდგა. გლობალურ პროცესებში საქართველო კვლავ აღმოჩნდება არჩევანის წინაშე – შეინარჩუნოს სუვერენიტეტი და ეროვნული იდენტობა მრავალპოლარულ სამყაროში.**

**მესინგის ლოგიკით, მცირე სახელმწიფოების გადარჩენის ერთადერთი გზა ერთიანობა, დიდ ძალებთან გონივრული ბალანსი და საკუთარი ეროვნული ინტერესების მკაფიო გააზრებაა.**

**საქართველო, თავისი გეოგრაფიული მდებარეობით, შესაძლოა, არა მსხვერპლად, არამედ, ხიდად იქცეს ახალ მსოფლიო წესრიგში – აღმოსავლეთსა და დასავლეთს შორის; მაგრამ ჩვენი ქვეყნის მომავალი მაინც დამოკიდებულია იმაზე, შევძლებთ თუ არა, კრიტიკულ მომენტში, სიმშვიდის, სიბრძნის და ერთიანობის შენარჩუნებას.**

მოამზადა
ირანდა კალანდაძემ

დასასრული, დასაწყისი იხილეთ „სრ“ №10, 11

**ბრიტანული სამაუწყებლო კომპანია „ბიბისის“ რუსული სამსახური (BBC russian)** თავის ვებ-გვერდზე აქვეყნებს სტატიას სათაურით **„რა ხდება ტანკერ „მარინერასა“ და მისი ეკიპაჟის ირგვლივ: ამერიკელებმა გემის ქართველი კაპიტანი დიდი ბრიტანეთიდან გაიყვანეს“.** პუბლიკაციაში განხილულია აშშ-ის სანაპირო დაცვის მიერ დაკავებული რუსული დროშით მცურავი ტანკერის ეკიპაჟის მდგომარეობა: **რა ბედი ეწიათ მეზღვაურებს?**

**გთავაზობთ სტატიას მცირე შემოკლებით:**

# ტანკერ „მარინერას“ ეკიპაჟისა და მისი ქართველი კაპიტნის ბედი

**აშშ-ის სანაპირო დაცვამ ტანკერ „მარინერას“ კაპიტანი და მისი პირველი თანაშემწე დიდი ბრიტანეთის ტერიტორიიდან გაიყვანა. როგორც ცნობილია, რუსეთის დროშით მცურავი ეს გემი ამერიკელმა სამხედროებმა დააკავეს იმ ეჭვის საფუძველზე, რომ სხვადასხვა დროს მას ვენესუელიდან ნავთობი გადაჰქონდა, თუმცა დაკავებისას ტანკერი ცარიელი იყო.**

**აშშ-ის იუსტიციის სამინისტროს შეტყობინებით, კაპიტანი ავთანდილ კალანდაძე (იგი საქართველოს მოქალაქეა, 47 წლისაა და ბათუმში ცხოვრობს) და მისი თანაშემწე ამჟამად აშშ-ის სანაპირო დაცვის ხომალდ „მუნროს“ ბორტზე იმყოფება. ეკიპაჟის დანარჩენი წევრები – რუსეთის და უკრაინის მოქალაქეები – დიდ ბრიტანეთს მალე დატოვებენ.**

## სასამართლო შოტლანდიაში

**ის ფაქტი, რომ ავთანდილ კალანდაძე დიდი ბრიტანეთის ტერიტორიიდან უკვე გაყვანილი იყო, მხოლოდ სასამართლოს სხდომის დროს გახდა ცნობილი.**

სხდომაზე მისი ნათესავები ცდილობდნენ მიეღწიათ, რომ დაკავებული ქართველი კაპიტანი დიდი ბრიტანეთიდან არ გაყვანილიყო. კაპიტნის მეუღლის **ნათია ძაძამიას** ადვოკატების მტკიცებით, ავთანდილ კალანდაძე შოტლანდიის სასამართლოსა და ადამიანის უფლებების ევროპული კანონმდებლობის მიერ უნდა იყოს დაცული.

სასამართლომ მართლაც შეაჩერა ყოველგვარი მოქმედებები **ავთანდილ კალანდაძის** მიმართ იმ მომენტამდე, სანამ მისი საქმე უფრო ფართოდ არ იქნებოდა განხილული, მაგრამ ამ დროს შოტლანდიის გენერალურმა პროკურორმა, ქალბატონმა რუთ ჩარტერისმა მოსამართლეს აცნობა, რომ კაპიტანი ქვეყნის ტერიტორიაზე უკვე აღარ იმყოფებოდა: **„კაპიტანი და მისი თანაშემწე ამჟამად აშშ-ის სანაპირო დაცვის ხომალდ „მუნროს“ ბორტზე იმყოფებიან და გაერთიანებული სამეფოს ტერიტორიული წყლებიდან გასულები არიან“**, – თქვა მან.

სასამართლოს სხდომის შემდეგ კაპიტნის ცოლის მიერ დაქირავებულმა ადვოკატმა **აამერ ანვარმა** განაცხადა, რომ აშშ-ის ხელისუფლებამ ავთანდილ კალანდა-




**სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის ანტიკორუფციული სააგენტოს თანამშრომლების მიერ, საქართველოს სხვადასხვა რეგიონში გუშინ ჩატარებული მასშტაბური ანტიკორუფციული ღონისძიებების შედეგად, შვიდ სხვადასხვა სისხლის სამართლის საქმეზე გამოვლენილ კორუფციულ დანაშაულებთან დაკავშირებით, დაკავებული და პასუხისგებაში მიცემულია, სულ, 21 ადამიანი.**

# შვიდი სისხლის სამართლის საქმე და 21 თაღლითი

## პირველი საქმე:

**თავდაცვის სამინისტროს გენერალურ ინსპექციასა და პროკურატურასთან ერთად ჩატარებული ერთობლივი ღონისძიებების ფარგლებში, თბილისში ქრთამის აღებისა და ქრთამის აღებაში დახმარების, ასევე, სამსახურებრივი სიყალბის ფაქტებზე, დაკავებულები არიან საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს შპს „ფსიქიკური ჯანმრთელობისა და ნარკომანიის პრევენციის ცენტრის“ ექიმი-ფსიქიატრი და ამავე ცენტრის უსაფრთხოების თანამშრომელი.**

ჩატარებული გამოძიებით დადგენილია, რომ ექიმმა-ფსიქიატრმა წვევამდელთა ეროვნული სამხედრო სამსახურისთვის თავის არიდების მიზნით, უსაფრთხოების თანამშრომლის დახმარებით, ქრთამის აღების სანაცვლოდ, წვევამდელ პირს დაუდგინა ყალბი სამედიცინო დიაგნოზი და დაუმზადა ყალბი ინფორმაციის შემცველი სამედიცინო ცნობა, რომლის გამოყენებითაც ის შეძლებდა სამხედრო ვალდებულებისგან გარკვეული პერიოდით თავის არიდებას.

ჩადენილი დანაშაული სასჯელის სახით 6-დან 9 წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

## მეორე საქმე:

**წინასწარი შეთანხმებით, ჯგუფის მიერ თაღლითობის ფაქტზე, დაკავებულია ერთი მოქალაქე, ერთ პირს კი ბრალდება წარედგინა.**

ჩატარებული გამოძიებით ამ ეტაპზე გამოვლენილია, რომ ბრალდებულები, თითქოსდა სამხედრო-სამედიცინო კომისიის წევრის დახმარებით, მოქალაქეს ეროვნულ სამხედრო სამსახურში გაწვევის გადავადებას დაჰპირდნენ ჯანმრთელობის მდგომარეობის დროებით შეუსაბამობის დადგენის გზით. ამის სანაცვლოდ მათ მოქალაქეს 10 000 ლარის გადახდა მოსთხოვეს და წინასწარ გამოართვეს 5 000 ლარი. რეალურად კი არანაირი დახმარება არ გაუწევიათ და მიღებული თანხა თაღლითურად მიისაკუთრეს.

დანაშაული სასჯელის სახით 4-დან 7 წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

## მესამე საქმე:

**სამსახურებრივი უფლებამოსილების გოროტად გამოყენების, სამსახურებრივი სიყალბისა და ყალბი ოფიციალური დოკუმენტების არაერთგზის დამზადების, გასაღებისა და გამოყენების ფაქტებზე ბრალდება წარედგინათ ქარელის მუნიციპალიტეტის მერიის, სამხედრო აღრიცხვისა და გაწვევის სამსახურის ყოფილ უფროსს და შპს „ბერმუხის“ მმართველს.**

გამოძიებით დადგინდა, რომ სამხედრო აღრიცხვისა და გაწვევის სამსახურის ყოფილმა უფროსმა, სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით, შესაბამისი კომისიების გადაწყვეტილებების გარეშე, სამედიცინო დასკვნების გაყალბებით, ალტერნატიულ შრომით სამსახურში გასაწვევად ექვსი წვევამდელი აღრიცხვაზე აიყვანა, რომელთაგან ნაწილი ალტერნატიული არასამხედრო შრომითი სამსახურის მოსახდელად მიავლინეს შპს „ბერმუხაში“. კომპანიის ფაქტიურმა მმართველმა არაერთგზის გასცა ყალბი ცნობა-დახასიათებები, რომ თითქოსდა აღნიშნული წვევამდელები დასაქმებული იყვნენ შპს „ბერმუხაში“ და გადიოდნენ არასამხედრო, ალტერნატიულ შრომით სამსახურს. კიდევ ერთი დეტალი, აღნიშნულ პერიოდში წვევამდელთა ნაწილი ქვეყნის ფარგლებს გარეთ იმყოფებოდა.

თაღლითებს სასჯელის სახით 3-დან 6 წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთა ემუქრებათ.

## მეოთხე საქმე:

**ჯგუფურად კომერციული მოსყიდვის და ყალბი ოფიციალური დოკუმენტების დამზადებისა და გასაღების ფაქტებზე სისხლის სამართლის პასუხისგებაშია მიცემული შპს „კროლ მედიქალ ქორფორეიშენის“ და შპს „თბილისის ცენტრალური საავადმყოფოს“ ოთხი ექიმი.**

ჩატარებული გამოძიებით დადგენილია, რომ მედიკოსებმა, მათთან დანაშაულებრივ კავშირში მყოფ, ამავე საქმეზე, ჯგუფურად კომერციულ მოსყიდვაში დახმარების ფაქტზე უკვე მხილებული პირის მიერ მოძიებულ 315 მოქალაქეს დაუმზადეს ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ ყალბი ცნობები და სხვა სამედიცინო დოკუმენტაცია, უზრუნველყვეს მათი განთავსება საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს შესაბამის ელექტრონულ ბაზაში, რის საფუძველზეც მოქალაქეებს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირის სტატუსი უკანონოდ მიენიჭათ და სახელმწიფო პენსია დაენიშნათ. ამ ეტაპზე გამოკითხულია 107 პირი, რომლებიც ადასტურებენ ყალბი დოკუმენტის საფუძველზე სახელმწიფო პენსიის მიღებას.



დანაშაული სასჯელის სახით 4-დან 6 წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

## მეხუთე საქმე:

**დიდი ოდენობით თაღლითობისა და თაღლითობაში დახმარების, ასევე, ყალბი ოფიციალური დოკუმენტის დამზადებისა და გამოყენების ფაქტებზე ბრალდება წარედგინათ შპს „ელმარის“ წარმომადგენელს, შპს „თეგიკა უნივერსალის“ დირექტორს და შპს „ექსპერტ სერვისის“ ექსპერტს.**

ჩატარებული გამოძიებით ამ ეტაპზე დადგენილია, რომ ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის სოფელ ხიდისთავში მდებარე ფეხბურთის მოედნის სარეაბილიტაციო სამუშაოების შესრულებისას შპს „თეგიკა უნივერსალის“ დირექტორი, ქვეკონტრაქტორი კომპანია შპს „ელმარის“ მინდობილი პირისა და შპს „ექსპერტ სერვისის“ ექსპერტის დახმარებით, თაღლითურად დაეუფლა ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის მერიის კუთვნილ 19 090 ლარს.

თაღლითური ქმედება 6-დან 9 წლამდე თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

## მეექვსე საქმე:

**წინასწარი შეთანხმებით ჯგუფის მიერ დიდი ოდენობით თაღლითობისა და თაღლითობაში დახმარების, ასევე, ყალბი ოფიციალური დოკუმენტის დამზადება-გამოყენების ფაქტებზე შპს „ევრო გზის“ დირექტორს და ბუღალტერს, შპს „ბილტმორის“ დირექტორს და ინსპექტირების ორგანო – შპს „ექსპერტ ჰაუსის“ ყოფილ ზედამხედველს ბრალდება წარედგინათ.**

ჩატარებული გამოძიებით დადგენილია, რომ გურჯაანის მერიასა და შპს „ბილტმორს“ შორის გაფორმებული ხელშეკრულების საფუძველზე, ქვეკონტრაქტორი ორგანიზაციის – შპს „ევრო გზის“ მიერ განხორციელდა საავტომობილო გზის სარეაბილიტაციო სამუშაოები, ღირებულებით 477 551 ლარი. სამუშაოებს ტექნიკურ ზედამხედველობას უწევდა გურჯაანის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ დაქირავებული შპს ,,ექსპერტ ჰაუსი“, რომლის დასკვნის საფუძველზეც განხორციელდა ანგარიშსწორება. საინჟინრო ექსპერტიზის დასკვნის თანახმად კი, რეალურად შესრულებულ სამუშაოებსა და კომპანიის მიერ შედგენილ სამუშაოების შესრულების ამსახველ აქტებში დაფიქსირდა 38 158 ლარის სხვაობა. თავის მხრივ, ზემოხსენებული პასუხისმგებელი პირები თაღლითურად დაეუფლნენ გურჯაანის მუნიციპალიტეტის მერიის კუთვნილ 38 158 ლარს.

დანაშაული სასჯელის სახით 6-დან 9 წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

## მეშვიდე საქმე:

**სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით დიდი ოდენობით თაღლითობის, თაღლითობაში დახმარების, სამსახურებრივი სიყალბისა და ყალბი ოფიციალური დოკუმენტის დამზადება-გამოყენების ფაქტზე გურჯაანის მუნიციპალიტეტის მერიის თანამშრომელს, ამავე მუნიციპალიტეტის მერის წარმომადგენელს გურჯაანში და ორ მოქალაქეს ბრალდება წარედგინათ.**

ჩატარებული გამოძიებით გამოვლენილია, რომ გურჯაანის მუნიციპალიტეტის მერიის თანამშრომელმა განიზრახა თაღლითურად დაუფლებოდა გურჯაანში, გ. ლეონიძის ქუჩაზე მდებარე 3 900 კვ. მ. ფართობის მიწის ნაკვეთს. განზრახვის სისრულეში მოყვანის მიზნით, მან განცხადებით მიმართა საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოს და მოითხოვა მიწის ნაკვეთზე უფლებათა სპორადული წესით რეგისტრაცია. მერის წარმომადგენელმა, რომელსაც ევალებოდა საკითხის შესწავლა, სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით, შეადგინა და გასცა ყალბი საკუთრების უფლებადამდგენი დოკუმენტი, რის საფუძველზეც მიწის ნაკვეთი უკანონოდ დარეგისტრირდა გურჯაანის მერიის ზემოაღნიშნული თანამშრომლის სახელზე, რითაც სახელმწიფოს 70 200 ლარის ზიანი მიადგა.

თაღლითური ქმედება სასჯელის სახით 6-დან 9 წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

ზემოთ აღნიშნულ დანაშაულებთან მიმართებით, გამოძიების ფარგლებში, სასამართლოს განჩინებების საფუძველზე, განხორციელდა ფარული საგამოძიებო მოქმედებები, რის შედეგადაც მოპოვებულია აღნიშნული დანაშაულებრივი ქმედების ჩადენის ამსახველი აუდიო და ვიდეომტკიცებულებები.

---

ძე შოტლანდიის ტერიტორიიდან, „ფაქტიურად გაიტაცა“.

**„ორ კვირაზე მეტხანს გემი, რომელსაც უცხოური [ამერიკული] შეიარაღებული ძალები იცავდნენ, შოტლანდიის ტერიტორიულ წყლებში იმყოფებოდა, მაგრამ (ბრიტანეთის) ხელისუფლებას არავითარი ეფექტური ზომები არ მიუღია თავისი იურისდიქციის განსახორციელებლად და გემის ბორტზე მყოფი ადამიანთა კანონიერი უფლებების დასაცავად“**, – ამბობს ადვოკატი.



## გემის ეკიპაჟის წევრების ბედი

**აშშ-ის რადიო „თავისუფლების“ ქართული სამსახურის ცნობით, ამერიკული სანაპირო დაცვის სამსახურის მიერ დაკავებული ტანკერის ეკიპაჟი 5 ქართველი, 17 უკრაინელი, 3 ინდოელი და 2 რუსი მეზღვაურისაგან შედგება. შოტლანდიური სასამართლოს სხდომის დროს, რომელიც ონლაინ-რეჟიმით ჩატარდა, ცნობილი გახდა, რომ დიდი ბრიტანეთის იმიგრაციულმა სამსახურმა ეკიპაჟის 25 წევრი ტანკერიდან სასტუმროში გადაიყვანა, ქალაქ ელგინში, რომელიც ბრიტანეთის სამხედრო-საჰაერო ბაზა „ლოსიმუტთან“ ახლოს მდებარეობს.**

სამშაბათს, 27 იანვარს, ჟურნალისტებმა დააფიქსირეს, რომ მეზღვაურები ელგინის სასტუმროს ტოვებდნენ, შემდეგ კი ისინი ქალაქ აბერდინის სასტუმროში დააბინავეს.

დიდი ბრიტანეთის ხელისუფლების განცხადებით, ეკიპაჟის ხუთი წევრი შოტლანდიიდან აშშ-ში მალე გაფრინდებიან, დანარჩენები კი თავიანთ მშობლიურ ქვეყნებში.

როგორც გენპროკურორმა რუთ ჩარტერისმა აღნიშნა, არცერთ მეზღვაურს ბრიტანეთში თავშესაფარი არ უთხოვია, მათ თავიანთი ნებით მიიღეს გადაწყვეტილება საკუთარ ბედზე.

ჯერ კიდევ 9 იანვარს, ტანკერის დაკავების შემდეგ, რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს ოფიციალურმა წარმომადგენელმა მარია ზახაროვამ განაცხადა, რომ აშშ-ის პრეზიდენტმა მიიღო გადაწყვეტილება ორი რუსი მეზღვაურის გათავისუფლების შესახებ, მაგრამ 24 იანვარს რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილემ სერგეი რიაბკოვმა აღნიშნა, რომ ამერიკულ მხარეს რუსი მეზღვაურები არ გაუთავისუფლებია და უცნობია, როდის შესრულდება პრეზიდენტ დონალდ ტრამპის გადაწყვეტილება.

**თავის მხრივ, უკრაინის ხელისუფლებმა განაცხადეს, რომ ტანკერ „მარინერას“ ეკიპაჟში მართლაც იყვნენ უკრაინელი მოქალაქეები.**

**BBC-ის უკრაინული სამსახურის ვარაუდით, ისინი, როგორც ჩანს, დიდი ხნის წინათ იყვნენ წასულები უკრაინიდან, ან რუსეთის მიერ ოკუპირებულ ტერიტორიაზე (ყირიმში) ცხოვრობდნენ, თუმცა ეს ვარაუდი ოფიციალური წყაროებს არ დაუდასტურებით.**



მოამზადა

**სიმონ კილაძემ**

# ასეთია ჩემპიონთა ლიგა



**როგორც ყოველთვის, ჩემპიონთა ლიგა მთელი სეზონის განმავლობაში გვანებივრებდა სათავგადასავლო ჟანრის მოვლენებით, მაგრამ ის, რაც რეგულარული ტურნირის ფინიშზე მოხდა, მთელი გათამაშების ერთგვარ თაიგულს წარმოადგენდა და, რომ იტყვიან, ჯიღა დაადგა ელიტურ სპექტაკლებს.**

ჩვენთვის, ბუნებრივია, განსაკუთრებულ ინტერესს იწვევდა მოქმედი გვირგვინოსნის პარი სენ-ჟერმენისა და ერთ დროს **თემურ ქეცბაიას** საფეხბურთო ოდაბადეს – ნიუკასლის შეხვედრა, რომელსაც უნდა გადაეწყვიტა, რომელი გუნდი მოხვდებოდა წამყვან ოქტეტში და თავიდან აიცილებდა ზედმეტ საპლეიოფო ეტაპს.

როგორც ასეთ შემთხვევებში ხდება ხოლმე ხანდახან, მეტოქეებმა თავდაუზოგავად იბრძოლეს მიზნის მისაღწევად, მაგრამ საბოლოოდ ორივესთვის არასასურველი ზავი გააფორმეს – 1:1, თუმცა გული უფრო იმან დაგვწყვიტა, რომ **ვიტინიას** გოლის დროს ასისტის ავტორმა **ხვიჩა კვარაცხელიამ** მალევე მიიღო კოჭის ტრავმა და შესაცვლელი გახდა.

სხვათა შორის, ფრანგულ გრანდს რევანში მართებდა ჯორდებთან 2022 წელს ფიასკოსთვის (1:4, 1:1), მაგრამ თავიდანვე დაითარსა, როცა **დემბელემ** პენალტი ვერ გაიტანა, ბოლო წუთზე კი თვითონაც გადარჩა.

შეგახსენებთ, რომ შარშანდელი ტრიუმფის ბილიკს **ლუის ენრიკეს** გუნდი ასევე ზედმეტი სტადიის გავლით შეუყვა, ასე რომ...

დიდი სენსაცია შემოგვთავაზეს მეზობელმა ყარაბაღმა და ვიკინგთა ბოდო გლიმტმა, სასწაულამდე კი ერთი გოლი დააკლდა კვიპროსულ პაფოსს.

და ბოლოს, პორტუგალიაში დატრიალებული დრამა, სადაც ბენფიკას უკრაინელმა მეკარემ **ტრუბინმა** ბევრი ბომბარდირისთვის შესაშური თავურით მე-8 დამატებულ წუთზე მასპინძელთათვის მხსნელი ბურთი გაუტანა ბრძოლაში 9(!) მოთამაშით დარჩენილ რეალს და სამეფო კლუბი გაუთვალისწინებლად გაისტუმრა მაღალი საზოგადოების მიღმა.

**ცნობისთვის:** ინგლისური პრემიერლიგის 6 ბინადრიდან 5 საშეღავათო პირობებით ისარგებლებს, ნიუკასლზე კი უკვე მოგახსენეთ.

### მერვედფინალში პირდაპირ გავიდნენ:

**არსენალი, ბაიერნი, ლივერპული, ტოტენჰემი, ბარსელონა, ჩელსი, სპორტინგი, სიტი.**

### მეთექვსმეტედფინალში ითამაშებენ:

**რეალი, ინტერი, პარი სენ-ჟერმენი, ნიუკასლი, იუვენტუსი, ატლეტიკო, ატალანტა, ლევერკუზენი, დორტმუნდი, ოლიმპიაკოსი, ბრიუგე, გალათასარაი, მონაკო, ყარაბაღი, ბოდო გლიმტი, ბენფიკა.**

### ჩემპიონთა ლიგიდან გავარდნენ:

**მარსელი, პაფოსი, უნიონ სენტ ჟილი, პსვ ეინდჰოვენი, ბილბაო, ნაპოლი, კოპენჰაგენი, აიაქსი, აინტრახტი, სლავია, ვილიარეალი, კაირატი.**

დავძენთ, რომ პლეი-ოფის წილისყრა უეფას შტაბ-ბინაში დღესაა დანიშნული, ხოლო მეთექვსმეტედფინალური მატჩები 17-18 და 24-25 თებერვალს გაიმართება.

# საგანგაშო არაფერია

**ქართული ფუტსალი სწორი გზით ვითარდებაო – განაცხადა ევრო – 2026-ის ჯგუფური რაუნდის მეორე ტურში საერთაშორისო რეიტინგის მე-7 ნომერ ხორვატეთთან ფრედ – 2:2 დასრულებული მატჩის შემდეგ ჯვაროსანთა თავკაცმა ავთანდილ ასათიანმა, რომელმაც მეორედ გაიყვანა გუნდი უმაღლეს ფორუმზე და, როგორც სამამულო სპორტის ლეგენდას შეშვენის, 100-ზე მეტი შეხვედრა დაუგროვდა მწვრთნელის ამპლუაში.**

დაახლოებით ასეთივე სათამაშო სტატისტიკით გამოირჩევიან ჩვენი ნაკრების აღიარებული ლიდერები – კაპიტანი **თოდუა** და დაცვის მეორე ბურჯი **თოფურია,** რომლებიც უშუალო მოვალეობათა ღირსეულად შესრულების გარდა, სტანდარტული სიტუაციების გათამაშებისას შესაბამისად, 25 და 24 ასისტით იწონებენ თავს პარტნიორთა შორის.

ასე რომ, დისკვალიფიკაციისა და ტრავმის გამო ასეთი საკვანძო ფიგურების არყოფნა ერთ-ერთ გრანდ საფრანგეთთან თითქმის გამოუვალ მდგომარეობაში გვაყენებდა, რადგან პლეი-ოფში გასასვლელად მხოლოდ გამარჯვება გვაწყობდა, თანაც პარალელურად მასპინძელ ლატვიისა და ბალკანელთა ბრძოლის შედეგიც უნდა გაგვეკონტროლებინა.

მართალია, ვითარება ერთი შეხედვით უიმედოდ გამოიყურებოდა, მაგრამ მრისხანე მეტოქესთან საერთო ბალანსი ოპტიმიზმის გარკვეულ, თუნდაც მცირე საფუძველს მაინც გვიტოვებდა: 1 მოგება, 2 ფრე და ერთადერთი წაგება.

იყო კიდევ ერთი სასიკეთო ფაქტორი ისტორიული სამშობლოს პასპორტის უკანასკნელ მომენტში მიმღები ფერეიდნელი მეკარის **ასლანის** სახით, რომელმაც ტურნირის ავადსახსენებელი პირველი შეხვედრა ბალტიისპირელებთან გამოტოვა, დარჩენილი გამოცდები კი დიდოსტატურად ჩააბარა და თავი 60-მდე სეივს(!) მოუყარა. მოკლედ, ერთი მერცხლის ჭიკჭიკმა გაზაფხული მართალია ვერ მოიყვანა, მაგრამ ბიჭებმა მაინც შეინარჩუნეს ავტორიტეტი, ფავორიტთან მხოლოდ 1:3 (გაბრიჭიძე) დამარცხდნენ და თავიანთი დამრიგებლის ზემოთნახსენებ შეფასებას არსებობის უფლება კიდევ ერთხელ მიანიჭეს.

**დიახ, წარმატებებს კვლავაც უნდა ველოდოთ!**

# ძალა ერთობაშია!

**ნბა-ს რეგულარული ჩემპიონატის მორიგ ტურში გოგა ბითაძე კლივლენდთან 98:114 წაგებული შეხვედრის ბოლომდე ორლანდოს სათადარიგოთა სკამზე დარჩა და რადგანაც ჩვენებურის ტრავმაზე ინფორმაცია არ გავრცელებულა, სავარაუდოდ, ეს მეჯიქის მთავარი მწვრთნელის გადაწყვეტილება იყო.**

ჰოდა, აღნიშნული მატჩის შემდეგ ფლორიდელთაგან ჯვაროსნის მოსალოდნელ წასვლაზე საუბრები უფრო გამძაფრდა და მოვლენები შეიძლება ძალზე საინტერესოდ განვითარდეს. კერძოდ, როგორც კანადური გამოცემა ტი-ეს-ენი იუწყება, საქართველოს ნაკრების წევრები **სანდრო მამუკელაშვილი** და გოგა ბითაძე შეიძლება ტორონტო რეპტორზში თანაგუნდელები გახდნენ.

ცნობაში ნათქვამია, რომ იქაური კლუბი სახელფასო ჭერის დაწევას გეგმავს და ცენტრის პოზიციაზე შედარებით დაბალი ანაზღაურების მქონე ვაკანსიის ძიებაშია, უშუალოდ ეს კომპონენტი კი გოგას მის სათამაშო უნარებთან ერთად ტორონტოსათვის დამაინტრიგებელ კანდიდატად წარმოაჩენს. დავძენთ, რომ 26 წლის ქართველ ლეგიონერს ორლანდოსთან მოქმედი კონტრაქტი 2027 წლის ზაფხულამდე აკავშირებს.

# ითამაშეთ, ბიჭებო, რაგბი!

**ახლა, როცა სახელმწიფოსა და კერძო სექტორის თანამშრომლობით აწყობილი ქართული სარაგბო სისტემით საერთაშორისო სარბიელზე წარმატებებს რეგულარულად ვაღწევთ და მსოფლიო თასზე მონაწილეობა ჩვეულებრივ ამბად გვექცა, კიდევ უფრო გვეძვირფასება ახლო წარსულის იმ ფურცლების გადაშლა, რეგიონებში აღნიშნული ვაჟკაცური სახეობის პოპულარიზაციასა და პირველი ნაბიჯების გადადგმას რომ უკავშირდება.**

ეროვნული მოძრაობის აზვირთების ჟამს მშობლიურ რაიონში მაშინდელი „გეპეის“ სტუდენტი **ვაჟა რაზმაძე** ჩამოვიდა და ადგილობრივ გაზეთში მასთან ინტერვიუ სათაურ-მოწოდებით გამოქვეყნდა: „ითამაშეთ ბიჭებო რაგბი!“

ბუნებრივია, ჯერ კიდევ საბჭოთა რაიკომში ბევრს არ მოეწონა ინგლისური თამაშის ამავე ენაზე მოხსენიება (ჩვენში ხომ რეგბის ეძახდნენ) და, როგორც შესანიშნავი რედაქტორის – ბატონ **ზაურ გამყრელიძისგან** შევიტყვე, საყვედურიც მოუსმენია, თუმცა წერილმა უმთავრესი მისია მაინც პირნათლად შეასრულა: ენთუზიასტმა ახალგაზრდამ, რომელიც თავიდან ზოგ-ზოგიერთებს ცენტრიდან სააგიტაციოდ გადმოსროლილი „არაფორმალი“ ეგონათ, ზაფხულის მოახლოებისთანავე ონის კოპწია, მაგრამ პირუტყვის საძოვრად გარდაქმნილ სტადიონზე არდადეგებზე მამულში დასასვენებლად მომრავლებული ახალგაზრდობა უცხო ხილს აზიარა და იმდენი მოახერხა, რომ ხანმოკლე ოფლისღვრის შემდეგ ახალშექმნილი გუნდი ფაზისი (მოგვიანებით ბუზა) ეროვნული ჩემპიონატის ერთ-ერთ რეგიონულ ლიგაში ჩააბა!



**მორიგი ვარჯიშის წინ.** მეორე რიგში მარჯვნიდან მეორე – გუნდის მწვრთნელი **ვაჟა რაზმაძე.**

ეს სათქმელადაა ადვილი, მაგრამ გაითვალისწინეთ, რომ როგორც ქვეყანას, ისევე, თუ მეტად არა, უჭირდა იმ არეულ დროში რაჭასაც – სად იყო შუქი, გათბობა, საწვავი გასვლით მატჩებზე გასამგზავრებლად და ქრონიკული უწყლობის შედეგი – ცივი შხაპი მაინც (ცხელზე ვინ იოცნებებდა?), მაგრამ სამაგიეროდ იყო ჯიგარი და პასუხისმგებლობის მოჭარბებული დოზა. მაგალითად, იყო შემთხვევები, როცა ბიჭები დილით ლექციებზე დასასწრებად საკუთარი მანქანით ახერხებდნენ დედაქალაქში წასვლას და საღამოს უკვე ვარჯიშზე ან თამაშზე ბრუნდებოდნენ.

**მადლობა ღმერთს, ცხინვალის გზა ოკუპირებული ჯერ არ იყო და დე ფაქტოც და, მით უმეტეს, დე იურეც ჩვენ ვაკონტროლებდით, რაც, თავადაც კარგად მოგეხსენებათ, რამდენად ხელსაყრელი გახლდათ როგორც მანძილის, ისე დროის დაზოგვის თვალსაზრისით.**

**მოკლედ, როცა გული გულობს, მთას გადადგამს კაციო, ტყუილად როდია ნათქვამი.**

**გია პლატონიშვილი.**



პირველი ეროვნული ჩემპიონატის გახსნის მატჩი ონის სტადიონზე ლენტეხის გუნდთან. მარცხნივ – ფაზისის კაპიტანი **ფარნაოზ კიკვიძე.**



**გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ რედაქცია და საქართველოს სპორტის ჟურნალისტთა ასოციაცია მწუხარებით იუწყებიან, რომ ძვირფას კოლეგასა და მეგობარს მერაბ მამულაშვილს გარდაეცვალა მამა**

**გივი**

**მამულაშვილი**

და თანაუგრძნობენ განსვენებულის ოჯახს.

# საცდელი პოლიგონი

**მილანი-კორტინას ზამთრის ოლიმპიური თამაშების ორგანიზატორები ანტიდოპინგურ ზედამხედველობას აეროპორტებშივე შეუდგებიან. ტესტირების საერთაშორისო სააგენტო (ITA) 2026 წლის ზამთრის თამაშებისთვის უფრო მეტ პრევენციულ და კოორდინირებულ კონტროლს იწყებს, ვიდრე ეს აქამდე ყოფილა.**

საერთაშორისო ანტიდოპინგური სისტემა ემზადება გადამწყვეტი ქმედებების განსახორციელებლად, რაც მიზნად ისახავს დადგენილი წესების თუ პროტოკოლების არსებით ცვლილებას. ITA, რომელიც პასუხისმგებელია მსხვილ ღონისძიებებზე ანტიდოპინგური პროგრამების ზედამხედველობაზე, ადასტურებს, რომ მილანი-კორტინა-2026 გაჯერებული იქნება სიახლეებით, რომლებიც მიმართულია შესაძლო დარღვევების საფუძველშივე აღსაკვეთად, რაც თავის მხრივ, გულისხმობს თამაშების მასპინძელ ქვეყანაში შესვლისთანავე სპორტსმენის ბარგის შემოწმებას.




აღსანიშნავია, რომ მსგავსი მეთოდი ჯერ არასდროს გამოუყენებიათ ოლიმპიურ თამაშებზე. სააგენტოს გენერალურმა დირექტორმა, **ბენჟამინ კოენმა** განმარტა, რომ მათი მიზანია „პრევენციული დარტყმა“: აკრძალული ნივთიერებების ამოღება იქამდე, ვიდრე ისინი სარბიელზე შეაღწევენ.

2026 წლის თამაშების მასპინძლები იმედოვნებენ, რომ შექმნიან მემკვიდრეობით მოდელს მომავალი ოლიმპიური თამაშებისთვის. მაშასადამე, დოპინგთან ამგვარად ბრძოლისთვის მილანი-კორტინა-2026 იქნება ერთგვარი საცდელი პოლიგონი.

**ცნობისთვის** – შარშან, დეკემბრის ბოლოს რომში გაიხსნა უახლესი ტექნოლოგიებით აღჭურვილი ანტიდოპინგური ლაბორატორია.

# „ჩვენ უნდა შევძლოთ, რომ შავი ზღვა გახდეს დამაკავშირებელი და არა გამყოფი ჩვენს რეგიონში“

## საქართველო ექვსი თვის ვადით BSEC-ის თავმჯდომარე ქვეყანა გახდა



**საქართველოს სტრატეგიული მდებარეობა და ღია ეკონომიკური პოლიტიკა ქვეყანას ევროპისა და აზიის დაკავშირებადობის ულტერნატივო კვანძად აქცევს. რთულ და მუდმივად ცვალებად გლობალურ გარემოში საქართველო ინარჩუნებს კონსტრუქციული და საიმედო პარტნიორის სტატუსს და გადამწყვეტ როლს ასრულებს გლობალური მიწოდების ჯაჭვების ფორმირებაში, ენერგეტიკულ დივერსიფიკაციასა და ეკონომიკური კავშირების გაღრმავებაში,** – ამის შესახებ საგარეო საქმეთა მინისტრმა **მაკა ბოჭორიშვილმა** BSEC-ის გენერალურ მდივანთან **ლაზარ კომანესკუსთან** ერთობლივ პრესკონფერენციაზე განაცხადა.

მაკა ბოჭორიშვილის თქმით, საქართველოს თავმჯდომარეობის პრიორიტეტები შეეხება რეგიონული დაკავშირებადობის გაძლიერებას და შუა დერეფნის განვითარების ხელშეწყობას, ენერგეტიკული უსაფრთხოების უზრუნველყოფას, დიგიტალიზაციასა და კარგი მმართველობის ხელშეწყობას, რეგიონის ტურისტული პოტენციალის და კულტურული კავშირების გაძლიერებას.

**„2026 წლის პირველი იანვრიდან საქართველო გახდა შავი ზღვის ეკონომიკური თანამშრომლობის ორგანიზაციის თავმჯდომარე ქვეყანა. მომდევნო ექვსი თვის განმავლობაში საქართველო თავმჯდომარის რანგში წარმართავს ორგანიზაციის მუშაობას და მაქსიმალურად ვეცდებით, ხელი შევუწყოთ მის ეფექტიან ფუნქციონირებას.**

**ჩვენ გვჯერა, რომ შავი ზღვის რეგიონის უსაფრთხოება, სტაბილურობა და განვითარება ევროპის კეთილდღეობის საფუძველია. დღეს შავი ზღვის რეგიონი არაერთი გამოწვევის წინაშე დგას, განსაკუთრებით უსაფრთხოების კუთხით, რაც ერთგვარად გლობალური პოლიტიკის ეპიცენტრში აქცევს ჩვენს რეგიონს. გამოწვევებთან გამკლავების გზების ძიებასთან ერთად, ჩვენ უნდა შევძლოთ იმ შესაძლებლობებზე მუშაობა, რაც არსებობს შავი ზღვის რეგიონში.**

**საქართველოს სტრატეგიული მდებარეობა და ღია ეკონომიკური პოლიტიკა ქვეყანას ევროპისა და აზიის დაკავშირებადობის ულტერნატივო კვანძად აქცევს. რთულ და მუდმივად ცვალებად გლობალურ გარემოში საქართველო ინარჩუნებს კონსტრუქციული და საიმედო პარტნიორის სტატუსს და გადამწყვეტ როლს ასრულებს გლობალური მიწოდების ჯაჭვების ფორმირებაში, ენერგეტიკულ დივერსიფიკაციასა და ეკონომიკური კავშირების გაღრმავებაში.**

**ჩვენი ხედვა ეფუძნება დაკავშირებადობის გაძლიერებას, სადაც შუა დერეფანი არა მხოლოდ სატრანსპორტო მარშრუტი, არამედ უსაფრთხო, სწრაფი და ეფექტიანი ეკონომიკური ხიდია.**

**მიმდინარე ინფრასტრუქტურული ინიციატივები, მათ შორის, ნავთობსადენი, შავი ზღვის წყალქვეშა ელექტროკაბელი, შავი ზღვის თხევადი ბუნებრივი აირის წარმოება, რკინიგზის სისტემის მოდერნიზაცია, აღმოსავლეთ-დასავლეთის ავტომაგისტრალის მშენებლობა და ანაკლიის ღრმაწყლოვანი პორტის პროექტები – მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს ევროპის საერთო კეთილდღეობას.**

**მსურს, ვისარგებლო შესაძლებლობით და ხაზი გავუსვა საქართველოსა და BSEC-ს შორის არსებულ თანამშრომლობას. საქართველო, როგორც BSEC-ის დამფუძნებელი წევრი, დაარსების დღიდან აქტიურად უწყობს ხელს რეგიონულ დიალოგსა და ეკონომიკურ მდგრადობას. არსებული უსაფრთხოების გამოწვევები კვლავ მნიშვნელოვან დაბრკოლებად რჩება ორგანიზაციის პოტენციალის სრულფასოვანი რეალიზებისთვის. ჩვენ უნდა შევძლოთ, შავი ზღვა გახდეს დამაკავშირებელი და არა გამყოფი ჩვენს რეგიონში“,** – განაცხადა **მაკა ბოჭორიშვილმა.**

მინისტრმა ისაუბრა დაგეგმილი ღონისძიებებისა და ინიციატივების შესახებ, იმ პრიორიტეტებზე, რომელიც საქართველოს თავმჯდომარეობის პერიოდში განხორციელდება, ორგანიზაციის სტრატეგიულ მიზნებზე და შავი ზღვის რეგიონის განვითარებაზე.

# ეყოფა შვიდმილიარდიანი გრანტი ოპოზიციას ქვეყნის ასარევად?



**ევროკომისარმა მარტა კოსმა განაცხადა, რომ ეძებენ გზებს, საქართველოში მოქმედ კანონებს როგორ აუარონ გვერდი და ისე დააფინანსონ სხვადასხვა ორგანიზაცია. ამას არ დავუშვებთ!** – ამის შესახებ საპარლამენტო უმრავლესობის წევრმა **თენგიზ შარმანაშვილმა** განაცხადა.

შარმანაშვილის თქმით, უცხოეთიდან შემოსული თანხები საჯარო უნდა იყოს.

**„მათ ვინაიდან დააანონსეს, რომ დაფინანსებას უკანონოდ აპირებენ, ჩვენც ზომებს მივიღებთ. საქართველოში ვინც ოპერირებს და მათი საქმიანობა ამ ქვეყანას ეხება, საქართველოში დასახარჯ გრანტზე ნებართვა დასჭირდებათ, ამაში განსაკუთრებული არაფერია. საჭირო არ იქნებოდა ეს ნაბიჯები, თავად რომ თავის არიდების მეთოდოლოგია არ მოეფიქრებინათ. არათუ მოიფიქრეს, არამედ ევროკომისიის მიერ ხმამაღლა დააანონსეს. რა თქმა უნდა, ეს შეზღუდვა არ არის. ყველაზე მარტივი კანონი შემოვიღეთ და განვსაზღვრეთ, რომ შემოსავალი 20 პროცენტს თუ აღემატება, დეკლარირება მოეხდინათ. შემდეგ „ფარა“ მივიღეთ. არავინ დაუშვებს, რომ საჯარო არ იყოს უცხოეთიდან შემოსული თანხები. თავი მოიკლეს და „ფარაზე“ მარტივი კანონის შესრულებაზე უარი თქვეს. რეალობაში ვიცით, რომ ეს ფული რევოლუციურ პროცესებს ხმარდება. არასამთავრობო ორგანიზაციები მთავრობის გადადგომასა და მთავრობის დაკომპლექტებას ითხოვდნენ. ევროკავშირმა სხვადასხვა გრანტისთვის შვიდი მილიარდი დააანონსა და ახლა ქართული მდიდარი არასამთავრობო ორგანიზაციების საზრუნავია, მთავარი ტორტიდან თავიანთი ნაჭერი როგორ მოიპოვონ“,** – აღნიშნა **თენგიზ შარმანაშვილმა.**

გაფართოების საკითხებში ევროკომისარმა, მარტა კოსმა ევროკავშირის საგარეო საქმეთა საბჭოს დაწყებამდე ჟურნალისტებს განუცხადა: **„არ შემიძლია, მხარი დავუჭირო მთავრობას, რომელიც საკუთარი მოქალაქეების წინააღმდეგ მოქმედებს, გავაგრძელებთ სამოქალაქო საზოგადოების მხარდაჭერას, მხარს ვუჭერთ მედიას, გთხოვთ, გამაგრდით“.**

ამასთან, საპარლამენტო უმრავლესობის მიერ მომზადებულ საკანონმდებლო ცვლილებებს გამოეხმაურა ევროკავშირის საგარეო პოლიტიკისა და უსაფრთხოების საკითხებში უმაღლესი წარმომადგენელი, კაია კალასი და განაცხადა: „ველოდებით, გადავდგამთ ნაბიჯებს მათ წინააღმდეგ, ვინც ამას ახორციელებს“.



**ცნობისთვის, „ქართულ ოცნებაში“ განაცხადეს, რომ „გრანტების შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილება შედის, წესდება სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა და ზუსტდება გრანტების განმარტება. ამავდროულად, სისხლის სამართლის წესით დასჯადი ხდება გარე ლობიზმი.**

# დანაშაულის კონტროლის ეფექტიანობით საქართველო მსოფლიოს საუკეთესო ოცეულშია

**ევროკომისიამ, კანონის უზენაესობის ინდექსი გამოაქვეყნა, რომელიც მსოფლიო მართლმსაჯულების პროექტის მიერ არის მომზადებული.** კანონის უზენაესობით, საქართველო აღმოსავლეთ ევროპის და ცენტრალური აზიის რეგიონში პირველ ადგილზე გავიდა.

გამოკვლევის ფარგლებში, დანაშაულის კონტროლის ეფექტიანობის მსოფლიო რეიტინგიც გამოქვეყნდა, სადაც საქართველომ შეფასების 100-პროცენტიანი სისტემით 92 პროცენტი მიიღო და მსოფლიოს საუკეთესო ოცეულში მე-17 ადგილი დაიკავა.

**საქართველო უსწრებს ევროკავშირის და ნატოს წევრ 23 სახელმწიფოს და სხვა არაერთ განვითარებულ ქვეყანას: გერმანიას, იტალიას, საფრანგეთს, დიდ ბრიტანეთს, შეერთებულ შტატებს, კანადას, ესპანეთს, ბელგიას, ირლანდიას, პორტუგალიას, ლიეტუვას, ლატვიას, კვიპროსს, უნგრეთს, ჩეხეთს, ალბანეთს, ბულგარეთს, ავსტრალიას, ახალ ზელანდიას, სამხრეთ კორეას, საბერძნეთს, სლოვაკეთს, მალტას, ჩრდილოეთ მაკედონიას, თურქეთს, ალბანეთს.**

# დაკავებულია ჩოხატაურის საკრებულოს თავმჯდომარე



**საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომლებმა პოლიციელზე განხორციელებული ჯგუფური ძალადობის ბრალდებით ჩოხატაურის საკრებულოს თავმჯდომარე დავით შარაშიძე დააკავეს. კიდევ ორი პირი მიმალვაშია და მათი დაკავების მიზნით აქტიურად მიმდინარეობს ოპერატიულ-სამძებრო სამუშაოები.**

**„გამოძიებით დადგენილია, რომ მიმდინარე წლის 27 იანვარს ოზურგეთში მდებარე ერთ-ერთ რესტორანში, ურთიერთშელაპარაკების ნიადაგზე, ჩოხატაურის საკრებულოს თავმჯდომარემ და მასთან ერთად მყოფმა ორმა მოქალაქემ ჯგუფურად იძალადეს პოლიციელზე, რომელიც იმ მომენტისთვის არ ასრულებდა სამსახურებრივ მოვალეობას. კერძოდ, ისინი ფიზიკურად გაუსწორდნენ სამართალდამცველს, რის შედეგადაც პოლიციელმა დაზიანებები მიიღო სახის არესა და სხეულის სხვადასხვა ნაწილში. სამართალდამცველებმა ჯგუფურ ძალადობაში მონაწილე ჩოხატაურის საკრებულოს თავმჯდომარე დავით შარაშიძე მომხდარიდან მალევე დააკავეს, ორი პირი კი მიმალვაშია – მათი ადგილსამყოფელის დადგენისა და დაკავების მიზნით აქტიურად ტარდება ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებები“,** – აცხადებენ შსს-ში.

**„გამოძიების დასრულებამდე ინციდენტში მონაწილე დაზარალებული პოლიციელი გათავისუფლებულია დაკავებული თანამდებობიდან და გადაყვანილია შსს კადრების განკარგულებაში“,** – აღნიშნავენ შსს-ში.

# გარდაბანში ავარიას 16 წლის გოგო ემსხვერპლა



**გარდაბანში მსუბუქი ავტომობილი მოზარდს მაშინ დაეჯახა, როდესაც ის გზის გადაკვეთას ცდილობდა. მიღებული დაზიანებებით მოზარდი ადგილზე დაიღუპა.** მომხდარზე გამოძიება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 276-ე მუხლის მეექვსე ნაწილით დაიწყო, რაც ტრანსპორტის მოძრაობის უსაფრთხოების ან ექსპლუატაციის წესის დარღვევას გულისხმობს, რამაც ადამიანის სიცოცხლის მოსპობა გამოიწვია.

# ავტოსაგზაო შემთხვევა ტრაგიკულად დასრულდა

**არსებული ინფორმაციით, მსუბუქი ავტომობილი ქვეითად მოსიარულე 40 წლამდე მამაკაცს დაეჯახა, რომელიც ადგილზე დაიღუპა.** მომხდარზე გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის 276-ე მუხლით დაიწყო, რაც ტრანსპორტის მოძრაობის უსაფრთხოების ან ექსპლუატაციის წესის დარღვევას გულისხმობს, რამაც ადამიანის სიცოცხლის მოსპობა გამოიწვია.

# „ლხინი უბედურებად გადაიქცა...“



**მარნეულის მუნიციპალიტეტში ავტოსაგზაო შემთხვევა მსხვერპლით დასრულდა. სოფელ გაიდარში მსუბუქი ავტომობილის მძღოლმა საჭე ვერ დაიმორჩილა და ხეს შეეჯახა.**

შემთხვევის შედეგად ორი ახალგაზრდა ადგილზე დაიღუპა, ორი დაშავებული კი კლინიკაში გადაიყვანეს. დაღუპულები არიან 23 წლის ბიჭები, **უფიგ ბადალოვი** და **უმიდ ადგოზალოვი.** ისინი სოფელ სადახლოდან იყვნენ. როგორც ირკვევა, ახალგაზრდები ქორწილში მიდიოდნენ, რა დროსაც, ავტოსაგზაო შემთხვევა მოხდა.

## ვულოცავთ!

85 წელი უსრულდება ცნობილ ქართველ პოლიტიკოსს – სამგზის მოწვევის პარლამენტარს, აკადემიკოსს, მეწარმეს და ვეტერან მოფარიკავეს, ბატონ



### ზურაბ ცქიტიშვილს

რომელსაც არაერთი კეთილი საქმე უკეთებია საკუთარი სამშობლოს საკეთილდღეოდ.

ვუსურვებთ მშვიდობას, ჯანმრთელობას და დიდხანს სიცოცხლეს.

**იური ოსიპოვი და მეგობრები**



# „მრავალჟამიერი“ ჰააგის სასამართლოს დარბაზში

**სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს (ICC) 2026 იურიდიული წლის გახსნის ცერემონიაზე, პირველად აჟღერდა ქართული სიმღერა ფოლკლორულ ანსამბლ „ფაზისის“ შესრულებით.**

27 იანვარს, 2026 იურიდიული წლის გახსნის ღონისძიებაზე, საქართველოს სახელით, **აუდიტორიის წინაშე წარდგა ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის ფოლკლორული ანსამბლი „ფაზისი“. შესრულდა 2 ხალხური სიმღერა: ოდოია და ცედური მრავალჟამიერი.**

ანსამბლის სასამართლოში მიწვევის იდეის ინიცირებისა და მხარდაჭერისათვის, მადლობას ვუხდით სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს პრეზიდენტს ქალბატონ ტომოკო აკანეს და ქართველ მოსამართლეს ბატონ **გოჩა ლორთქიფანიძეს.**




# თბილისი იმკვიდრებს ადგილს მსოფლიო ტურისტულ რუკაზე

**საერთაშორისო ავტორიტეტულმა გამოცემამ, „ფორბსმა“, პლატფორმა Tripadvisor-ის მონაცემებზე დაყრდნობით, 2026 წლის მსოფლიოს ათი ყველაზე ტრენდული ტურისტული მიმართულება გამოავლინა, რომელთა შორის თბილისმა მეორე ადგილი დაიკავა,** – ინფორმაციას ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაცია ავრცელებს.

„Tripadvisor-ის თრაველერს“ Choice Awards-ის ფარგლებში გამოქვეყნებული რეიტინგი მილიონობით მოგზაურის შეფასებებსა და მიმოხილვებს ეფუძნება, რაც მას ერთ-ერთ ყველაზე სანდო და ობიექტურ საერთაშორისო ტურისტულ ინდიკატორად აქცევს. სტატიაში ნახსენებია რუსთაველის გამზირი, თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრი, შალვა ამირანაშვილის სახელობის ხელოვნების მუზეუმი და სხვა ღირსშესანიშნაობები.

თბილისთან ერთად Forbes-ისა და Tripadvisor-ის 2026 წლის ტრენდული მიმართულებების ათეულში მოხვდნენ: **მადეირა (პორტუგალია), ჩიკაგო (აშშ), ქუი ნიონი (ვიეტნამი), პუერტო ესკონდიდო (მექსიკა), მილანი (იტალია), გლაზგო (შოტლანდია), აბუ დაბი (არაბთა გაერთიანებული საამიროები), რესიფი (ბრაზილია) და სან კარლოს დე ბარილოჩე (არგენტინა)".**

# ქართლის მოქცევიდან 1700 წლის იუბილეს ეროვნული არქივი გამოფენით აღნიშნავს

**ეროვნულ არქივის საგამოფენო პავილიონში ექსპოზიცია „წმინდა ნინო – საქართველოს განმანათლებელი“ გაიხსნა, რომელიც IV საუკუნეში საქართველოში ქრისტიანობის სახელმწიფო რელიგიად გამოცხადებიდან 1700 წლის იუბილეს მიეძღვნა.**

ღონისძიება საქართველოს იუსტიციის მინისტრმა **პაატა სალიამ** და ეროვნული არქივის გენერალურმა დირექტორმა **თეონა იაშვილმა** გახსნეს.

ღონისძიების მიზანია, ფართო საზოგადოებას წარუდგინოს ის უნიკალური ვიზუალური მემკვიდრეობა და საარქივო დოკუმენტები, რომლებიც საქართველოს გაქრისტიანების ისტორიას ასახავს; წარმოაჩინოს ამ ეპოქალური მოვლენის უდიდესი მნიშვნელობა ქართველი ერის სულიერ, კულტურულ და სახელმწიფოებრივ ცხოვრებაში.

**ღონისძიების ფარგლებში, ასევე, წარმოდგენილია წმინდა ნინოსადმი მიძღვნილი ბროშურა.**



**გამოფენაზე წარმოდგენილია ეროვნული არქივის ექსპედიციებში როგორც საქართველოში (თბილისი, წალენჯიხა, სეფიეთი, ბოჭორმა, ვარძია, ფარავნის ტბა, ბოდბე, შიომღვიმე, გელათი, უჯარმა, მცხეთა, სათხე), ისე უცხოეთში (აზერბაიჯანი (უდაბნო), თურქეთი (ანისი) გადაღებული ფოტოები, რომლებიც საქართველოში წმინდა ნინოს მოღვაწეობას უკავშირდება; ეროვნულ არქივში დაცული ქართლის მოქცევასთან დაკავშირებული ხელნაწერები (გულანები, საისტორიო თხზულებათა კრებული), ისტორიული საბუთები (წმინდა ნინოს სახელზე ბოდბის მონასტრისთვის შეწირული სიგელები) და ფოტომასალა.**

ექსპედიციებში გადაღებული ფრესკები XI-XVII, ხოლო ხელნაწერებისა და ისტორიული საბუთები XVI-XVIII საუკუნეებით თარიღდება.

**გარდა ამისა, ეროვნული არქივი წმინდა ნინოს შესახებ დოკუმენტურ ფილმზეც მუშაობს, რომელსაც საზოგადოებას წლის განმავლობაში შესთავაზებს.**

**ამავე თემას მიეძღვნება ეროვნული არქივის მე-11 საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია „არქივმცოდნეობა, წყაროთმცოდნეობა – ტენდენციები და გამოწვევები“, სადაც ქართველი და უცხოელი მეცნიერები საქართველოს გაქრისტიანების თემაზე უახლეს სამეცნიერო კვლევებს წარადგენენ.**

**კონფერენცია, რომელიც 2016 წლიდან ყოველწლიურად იმართება, ხელს უწყობს ახალი სამეცნიერო კვლევების წახალისებას, ქართველი და უცხოელი მეცნიერების მჭიდრო კავშირსა და ეროვნული არქივის სამეცნიერო თანამშრომლობის გაძლიერებას.**

# მხატვარ ოთარ სულავას საიუბილეო გამოფენა

**5 თებერვალს ეროვნული გალერეა საქართველოს დამსახურებული მხატვრის – ოთარ სულავას (1926-2000) საიუბილეო გამოფენას უმასპინძლებს.**

დიმიტრი შევარდნაძის სახელობის საქართველოს ეროვნულ გალერეაში ოთარ სულავას პერსონალური გამოფენა პირველად იმართება და მხატვრის შემოქმედების რეტროსპექტულ სურათს გთავაზობთ.

ოთარ სულავამ 1952 წელს დაამთავრა თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემია. **მისი პედაგოგები იყვნენ: მოსე თოიძე, ვალენტინ შერპილოვი, სერგო ქობულაძე, უჩა ჯაფარიძე.** მხატვრის შემოქმედებითი ბიოგრაფია 5 ათეულ წელს მოიცავს. მან მრავალფეროვანი ძიებებით სავსე შემოქმედებითი გზა განვლო. მისი მხატვრული მემკვიდრეობა სტილურად თუ თემატურად უცნაურად განსხვავებულ ნამუშევრებს აერთიანებს. **გამოფენაზე წარმოდგენილია მხატვრის 100-მდე ნამუშევარი ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმის, ეროვნული გალერეისა და ოჯახის კოლექციებიდან.**

საქართველოს რესპუბლიკა

გამომცემელი და მთავარი რედაქტორი
**სპარტაკ ქობულია**
(599-36-00-35)

რედაქტორის მოადგილე
**მამუკა ვაშაკიძე**
(597-22-07-04)

შემოქმედებითი ჯგუფი:
**ალეკო ასლანიშვილი, თემურ ქორიძე, ოთარ ტურაბელიძე, გია პლატონიშვილი.**

პიარისა და მარკეტინგის მენეჯერი
**რუსუდან ქობულია**
(577-77-27-17)

ტექნიკური რედაქტორი:
**კახა ქორიძე.**

სტილისტ-კორექტორები:
**ნაირა კეკელია, მაია იორამაშვილი.**

ოპერატორი
**შორენა გვილია.**

გაზეთის განახლებული ლოგოს ავტორი
**გიორგი ნადარეიშვილი.**

**მისამართი:**
თბილისი,
აკაკი წერეთლის N116

**წერილები გამოგზავნეთ ელექტრონულ მისამართზე:**
**sak@sak.ge**

გაზეთი დამოუკიდებელია და ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპით. რედაქციის აზრი, შესაძლოა, არ ემთხვეოდეს ავტორთა მოსაზრებებს.

ფაქტების სიზუსტეზე პასუხისმგებელია ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია. რედაქცია პასუხს არ აგებს სოციალური ქსელიდან და სხვა მედია-საშუალებებიდან გადმობეჭდილ, ან უცხოური პრესიდან თარგმნილი მასალების, ფაქტების, ინფორმაციის სიზუსტეზე.

იბეჭდება სტამბა
**„ფავორიტში“**
აბელ ენუქიძის N5

ფავორიტი
სტამბა რომელსაც ენდობი

uac(უაკ)070.4(479.22)
C–323

2 009882 689431

რეკლამისთვის დარეკეთ:
577-77-27-17
rkobulia29@gmail.com
ნებისმიერი თანხა ჩარიცხეთ ანგარიშზე:
GE90BG0000000538329790

**მომდევნო ნომერი გამოვა ორშაბათს, 2 თებერვალს**